საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვეული სიფცეკვაა, ფცეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა ეკალტისიბაზე ეხაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 22-23 აგვისტო. 2022 წ. №123-124 (9461-9462) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გულისამრევი, ენაჭარტალა ვაჭარი

აი, ვინ იყო „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი!..

3

„საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებს ბევრი უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახური და მაღალი ალბათობით, სოსო გოგაშვილი ამ სპეცსამსახურების ხელსაყრელი მოქმედებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის“

ეს არის ცყვია, რომელიც მე მომკლავს!

გიორგი კვინიტაძის სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში!..

გიორგი კვინიტაძის სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში, თითოეული ჩვენგანის, მომავალი თაობების მეხსიერებაში, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** სოციალურ ქსელ Facebook-ში წერს. მთავრობის მეთაურის თქმით, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს, თანამედროვე ქართული არმიის ერთ-ერთ შემოქმედს, ემიგრაციაში ყოფნის ურთულეს დღეებშიც არ დაუკარგავს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის რწმენა.

„დღეს საქართველოს ეროვნული გმირის, გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლის გიორგი კვინიტაძის დაბადების დღეა. სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს, თანამედროვე ქართული არმიის ერთ-ერთ შემოქმედს, ემიგრაციაში ყოფნის ურთულეს დღეებშიც არ დაუკარგავს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის რწმენა. „არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა“ — მისი ეს სიტყვები სწორედ საქართველოს, მისი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის უკვდავების იდეას განასახიერებს.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გასულ წელს შესაძლებლობა მოგვეცა გიორგი კვინიტაძის ნეშტი, ხანგრძლივი განშორების შემდეგ, სამშობლოს მიწისთვის მიგვებარებინა. დიდი მამულიშვილის, გიორგი კვინიტაძის სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში, თითოეული ჩვენგანის, მომავალი თაობების მეხსიერებაში“.

ევროპელები უმძიმესი ზამთრის მოლოდინში!

4

შუა აზიის ენერგორესურსებს სად წაიღებენ, თუ საქართველოში ცეცხლი დაინთება, ევროპამ ამაზე უნდა იფიქროს

„ვეშაპებზე“ ნადირობა აფხაზეთში

8

ბოროტების იმპერიის ლპობის ქრონიკები

9

სსრკ-ის დაუძინებელი მტერი - ჯინსი



„მიყვარს ცხოველების ხატვა...“,

ანუ შეკითხვები ნიკო ფიროსმანს

11



გუბაზ მეგრელიძე:

ნოდარ დუმბაძის ფესტივალის შუქ-ჩრდილები

7

ომარ მარგველაშვილი:

26-საუკუნოვანი მეგობრობის დაუვიწყარი დღეები

6

1. არიელ შარონი
2. ნათანიაჰუს ჩაშლილი ვიზიტი

შალვა პაპუაშვილი: ყველა ჯგუფში წარმოდგენილია 2 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს 200 არასამთავრობო ორგანიზაციას

ჩვენ გვაქვს თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის სამოქალაქო პლატფორმასთან, რომელშიც 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

„ჩვენ მათთან გვაქვს შეთანხმება: იმისთვის, რომ, ჯგუფშიც იყოს სამუშაო გარემო, ვინაიდან წარმოდგენილნი არიან პარლამენტის წევრები, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები – დაგვისახელონ 2 ორგანიზაცია, რომელიც იქნება ამ ჯგუფში და თავის მხრივ იქნება ხიდი სამუშაო ჯგუფსა და 200 არასამთავრობო ორგანიზაციას შორის. შესაბამის ანგარიშს ჩააბარებს მათ, მოისმენს მათ პოზიციებს და წარმოადგენს სამუშაო ჯგუფში. ამავე დროს მათ აქვთ როტაციის შესაძლებლობა“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ოპოზიცია, უბრალოდ, კალანდარიშვილის კანდიდატურის ჩაგდებას ცდილობდა!

ცესკოს მოქმედი თავმჯდომარის კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის და მათ შორის მიუკერძოებლობის მიმართაც ვერავინ თქვა ვერც ერთი არგუმენტი. უბრალოდ, პოლიტიკურ პოზიციას აფიქსირებდა ოპოზიცია და ცდილობდა ამ კანდიდატის ჩაგდებას, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან. მისი შეფასებით, ეს კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი საჯარო მოხელეების დისკრედიტაციაა.

„დასაბუთება იყო პოლიტიკური, თითქოს იქიდან გამომდინარე, რომ კვალიფიციური უმრავლესობა ვერ მოიპოვა ორჯერ. ვთქვათ, ნაკლები შანსი ჰქონდა კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვების, ეს ჩემი აზრით, არის ოპოზიციის რადიკალური დღის წესრიგის წახალისება. სწორედ ამას ვამბობდით, როდესაც კვალიფიციური უმრავლესობის პრაქტიკის ხარვეზებზე ვსაუბრობდით, რომ კვალიფიციური უმრავლესობა საბოლოო ჯამში ახალისებს მხოლოდ ოპოზიციის რადიკალურ დღის წესრიგს, აქედან გამომდინარე, პარლამენტი განიხილავს ამ საკითხს. რადიკალური ოპოზიციის წახალისება არ არის სწორი. მოქმედი თავმჯდომარის კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის და მათ შორის მიუკერძოებლობის მიმართაც ვერავინ თქვა ვერც ერთი არგუმენტი. უბრალოდ, პოლიტიკურ პოზიციას აფიქსირებდა ოპოზიცია და ცდილობდა ამ კანდიდატის ჩაგდებას. ეს გახლავთ კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი საჯარო მოხელეების დისკრედიტაცია. აქედან გამომდინარე, მე ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა“.

მიხეილ სარჯველაძე: არ არსებობს არავითარი რისკი იმისა, რომ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესს რამე საფრთხე შეექმნას

არავითარი რისკი იმისა, რომ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას შეიძლება რამე საფრთხე შეექმნას, რეალურად და ობიექტურად არ არსებობს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, მიხეილ სარჯველაძემ განაცხადა.

„ჩვენ ვერ ვაიძულებთ ვერცერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში. ჩვენი მხრიდან შეთავაზება გაკეთებულია. ერთადერთი მოთხოვნაა, ეს იყოს რეალურად არასამთავრობო ორგანიზაცია და არ იყოს პოლიტიკური პარტია. ასეთ ფონზე, მე არ მგონია, რომ ვინმესთვის ჩვენი მხრიდან შეუმჩნეველი იყოს ასეთი განწყობის არსებობა და სამართლიანი მოთხოვნა – რომ ვითხოვთ, არასამთავრობო ორგანიზაციის როლში, არასამთავრობო ორგანიზაცია იყოს“, – აცხადებს სარჯველაძე.

„საარჩევნო კოდექსის“ გადასინჯვის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა სავარაუდოდ მესამე სექტორის გარეშე ჩატარდება. „სამართლიან არჩევნებს“ სოლიდარობას უცხადებს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობას დროებით აჩერებს. მანამდე „ისფედს“ მხარდაჭერა გამოუცხადა „საიამ“ და ჯგუფი პროტესტის ნიშნად დატოვა. რატომ არ მიიწვია მმართველმა პარტიამ „სამართლიანი არჩევნები“ საარჩევნო საკითხების გადასინჯვის ჯგუფში – ამ საკითხზე განმარტება პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

სეზონის გიჟები

შემოდგომაზე იქნება გააფთრებული მცდელობები, რომ როგორმე ტემპერატურა ასწიონ. „ცხელი გაზაფხულისა“ და „ცხელი შემოდგომის“ დაანონსების გზით – სეზონის გიჟებად ჩამოყალიბდნენ, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, მიხეილ სარჯველაძემ ოპოზიციის ნაწილზე საუბრისას განაცხადა.

„ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას ანარქია და უბედურება არ უნდა, ამას უნდა აცნობიერებდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც რამდენიმე წელია პოლიტიკაში არიან და ამდენს ვერ ხვდებიან, ეს მათი პრობლემაა. ამის გამო აგებენ არჩევნებს და მერე გაბრაზებულები არიან სხვაზე და სინამდვილეში ეს არის მათი წარუმატებლობისა და არასწორად დაგეგმილი კამპანიის მიზეზი. როდესაც მოქალაქეებს სთავაზობენ, რომ ეკონომიკური ზრდა გაქვს ქვეყანაში, მაგრამ მაინც რაღაცები უნდა დავანგრიოთო, ამას რა თქმა უნდა, ვერავინ აჰყვება, ვისაც ეს ქვეყანა უყვარს“.

ცხინვალის მიმართულებით გადასასვლელი პუნქტები გაიხსნა

თითქმის სამწლიანი შეზღუდვის შემდეგ, **ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტები ნაწილობრივ გაიხსნა.**

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელის განცხადებით, „უკანონო შეზღუდვების“ შემსუბუქების რეჟიმი წლის ბოლომდეა ძალაში. მოსახლეობა გადადგილებას კონკრეტულ რიცხვებში დროის კონკრეტულ მონაკვეთში შეძლებს.

„ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მიეცემათ საშუალება, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდეს. მოინახულონ საკუთარი ოჯახის წევრები და ახლობლები, მიიღონ სამედიცინო დახმარება, ვისაც როგორ სჭირდება. ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესულები საკუთარ სახლკარს მიხედავს და იქ დარჩენილებს მიხედავს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ბუნებრივია, ეს არის საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ერგნეთის ფორმატის შეხვედრების შედეგი. ეს ასევე იყო პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება და როგორც ჩანს, მან ეს დაპირება შეასრულა. ძალიან კარგია, თუკი მსგავსი ნაბიჯები სამომავლოდ მოსახლეობის სასიკეთოდ გადაიდგმება, ეს ყველა მხარისთვის კარგი იქნება. ჩემი ინფორმაციით, წლის ბოლომდე, ყოველი თვის ბოლოს – 10 დღის განმავლობაში იქნება გახსნილი“, – განაცხადა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

სოფელ ირში, საოკუპაციო ხაზთან ხელყუმბარები ამოიღეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ონის მუნიციპალიტეტში საბრძოლო მასალის აღმოჩენის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაიწყო.

შსს-ს ცნობით, მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ირში, საოკუპაციო ხაზთან, უკანონოდ აღმართულ ლითონის ორ ცალ ბოძზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღმოჩენილი იქნა სავარაუდოდ საბრძოლო მასალა „ა-1“ ტიპის მსგავსი ასაფეთქებელი მოწყობილობა – ხელყუმბარა. პოლიციის მიერ დაუყოვნებლივ დაიწყო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. გამოძიების პროცესში, გამნაღმველების მონაწილეობით მოხდა, „F-1“ ტიპის მსგავსი, ე.წ. „სტრაიგ ბოლის“ სასწავლო-ხმოვანი, პლასტიკური კორპუსის მქონე ხელყუმბარების ამოღება, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით, გამნაღმველების მიერ ადგილზევე იქნა განადგურებული.

რა ხარჯები გელით სტუდენტობის დროს?

როგორც სასწავლო დაწესებულების შერჩევის ეტაპზე, ისე მისი შერჩევის შემდეგ, მნიშვნელოვანია, კარგად გააანალიზოთ სტუდენტობის პერიოდის ფინანსური ხარჯები და დაფიქრდეთ, რა დაგჭირდებათ ცხოვრების ამ ეტაპისთვის უკეთესად მოსამზადებლად.

პირველი, რაც უნდა გაითვალისწინოთ სტუდენტობის დაგეგმვამდე, ისაა, რომ ცხოვრების ეს ეტაპი ახალ ხარჯებთანაც იძნება დაკავშირებული. სწავლისთვის გაწეული ხარჯი ერთგვარი ინვესტიციაა, რომელიც მომავალში ბრუნდება. თუმცა, დაგეგმვის ეტაპზე აუცილებელია განსაზღვროთ, რა ხარჯი გემატებათ.

საცხოვრებელი და კომუნალური ხარჯები

ამ ტიპის ხარჯი განსაკუთრებულად აქტუალური ხდება მაშინ, თუ თქვენი სასწავლებელი სხვა ქალაქში ან სხვა რეგიონშია. თუ თქვენ ოჯახთან ერთად ცხოვრობთ, არ გიწევთ საცხოვრებლის საფასურის გადახდა, ხოლო თუ სასწავლებლის ადგილმდებარეობის გამო ახალი საცხოვრებელი დაგჭირდებათ, აუცილებლად უნდა დაფიქრდეთ შემდეგ ხარჯზე:

- **თანხა ბინის შესაძენად** – თქვენ ან თქვენმა ოჯახმა შესაძლოა გადაწყვიტოთ ბინის შეძენა იმ ქალაქში, სადაც სწავლას აპირებთ. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ თუ არ გაქვთ დანაზოგი ბინის შესაძენად, სესხის აღება დაგჭირდებათ.
- **თანხა ბინის დასაქირავებლად** – სტუდენტებისთვის საცხოვრებლის მოძიების ყველაზე გავრცელებული გზა ბინის დაქირავებაა. ხარჯების კუთხით, ეს ნიშნავს, რომ თქვენ დაგემატებათ ყოველთვიურად გადასახდელი თანხა ბინის მესაკუთრისთვის.
- **კომუნალური ხარჯები** – სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, თუ თქვენი სტუდენტობის პერიოდში საცხოვრებელის შეცვლა და მარტო ცხოვრება გიწევთ, გაითვალისწინეთ, რომ ყოველთვიურად დაგჭირდებათ კომუნალური ხარჯების დაფარვა. ამიტომ, სტუდენტობის პერიოდის დაგეგმვისა და ამ პერიოდის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინეთ აღნიშნული ხარჯიც.

სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები

სტუდენტობისას ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯი სწავლის

ღირებულების გადასახადია. დღეს დღეობით საქართველოში შეგიძლიათ მოიპოვოთ სახელმწიფო გრანტი, ისწავლოთ იმისთვის, რომ სასწავლებლის შიდა პროგრამაში ჩაერთოთ და სტიპენდია ან სწავლის დაფინანსება მოიპოვოთ. გაითვალისწინეთ, რომ სახელმწიფო გრანტი სრულად ფარავს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესებულ წლიურ გადასახადს. თუ თქვენ კერძო სასწავლებელს აირჩევთ, სადაც საფასური სახელწიფო სასწავლებლის საფასურზე მეტია, სხვაობის თანხის ანაზღაურება თქვენ მოგიწევთ.

გარდა სწავლის ღირებულებისა, სტუდენტობის ხარჯების დაანგარიშებისას უნდა გაითვალისწინოთ ისეთი ხარჯებიც, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის პროცესში საჭირო ნივთებისა და წიგნების, სახელმძღვანელოების, საკანცელარიო ნივთების, საგნების მიხედვით დამხმარე მასალებისა და მოწყობილობების შეძენასთან.

სხვა ხარჯები

ტრანსპორტირების ხარჯები – ტრანსპორტირების ხარჯის მოცულობა განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რამდენად დაშორებულია თქვენი საცხოვრებელი სასწავლებლისგან.

თუ თქვენ სასწავლებლად სხვა ქალაქში გადახვედით, გარდა სასწავლებლამდე ტრანსპორტირებისა, დაგემატებათ ოჯახის პერიოდულად მონახულების ხარჯიც. მნიშვნელოვანია, ასევე, სხვა პირადი ხარჯების გათვალისწინებაც, როგორიცაა, მაგალითად, საკვები, გართობა და ა.შ.

პირადი ბიუჯეტი – საუკეთესო გზა, მომზადებული შეხვდეთ ახალ ხარჯებს

იმისათვის, რომ სტუდენტობასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები სამომავლოდ დამაბრკოლებელ გარემოებებად არ იქცეს, საჭიროა ცხოვრების ამ ეტაპისთვის შეძლებისდაგვარად ადრე მოემზადოთ და წინასწარ დაგეგმოთ.

იმისთვის, რომ სტუდენტობის პერიოდში გაზრდილ ხარჯებს მომზადებული შეხვდეთ, საჭიროა, დაზოგოთ თანხა. დაზოგვა, რეკომენდირებულია, დაიწყოთ მაშინ, როდესაც გაგიჩნდებათ თუნდაც მცირე შემოსავალი. ასე თქვენ გამოიმუშავებთ დაზოგვის ჩვევას და შემოსავლის ზრდასთან ერთად შეგეძლებათ გაზარდოთ დანაზოგი.

სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე ციხიდან გავრცელებული ცნობის ფურცელში წერს, რომ 28 ივლისს, ციხეში ის საშხაპეში გაიყვანეს და მას შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა დაურეკა. გომელაურსა და მას შორის ხმამაღალი და დაძაბული საუბარი შედგა, რა დროსაც შს მინისტრმა ბიძინა ივანიშვილის დანაბარები გადასცა, რომ თუ არ გაჩუმდებოდა და რასაც ეტყოდნენ, იმას არ გააკეთებდა მას გაანადგურებდნენ და „ოჯახს ამოუწყვეტდნენ“.

306-ე საკანში შედგენილ წერილის შინაარსს არ ადასტურებს შს მინისტრი, რომლის განცხადებით, გოგაშვილთან არ დაურეკავს და მით უმეტეს, ოჯახის ამოწყვეტით არ დამუქრებია. ვახტანგ გომელაური ამბობს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ.

ეს, ვინ იყო „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი!..

გულსამრევი, ენაჭარტალა ვაჭარი

„შეიძლება ათჯერ გაიყვანეს საშხაპეში, არ ვიცი. მე არ ვიცი შიგნით რა ხდებოდა. სად გაიყვანეს საშხაპეში თუ სხვაგან, ეს ჩემი დაწესებულება არ არის, მაგრამ მე რომ მასთან არ დამირეკავს, კომუნიკაცია რომ არ მქონია, ეს 100%-ით ვიცი. ჩემგან ასეთი რამ – მუქარა არასდროს არ წასულა არავის მიმართ, რომ ოჯახის ამოწყვეტით დავმუქრებოდი...

...მაინც ვინ არის ეს ენაჭარტალა სოსო გოგაშვილი, რა დაკვეთას ასრულებს და ვინ არის დამკვეთი? – ცხადია, რომ ამ კითხვებზე პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. თუმცა, ცნობილია ვინ იყო გოგაშვილი 2012 წალმდე, იგი მუშაობდა ნავთლუღის ბაზრის ხორცის სექციის ერთ-ერთ დახლზე. ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გოგაშვილი ძალოვან უწყებაში იწყებს მუშაობას და მისი კარიერულ ზრდასთან ერთად იზრდებოდა გოგაშვილის ქონებაც. მას შემდეგ, რაც გოგაშვილმა დაკარგა პრივილეგიები და გავლენები, უკვე ოპოზიციური მედიის საშუალებით ხელისუფლების შანტაჟი დაიწყო.

ის, რომ გოგაშვილი დადასტურებულად აწვდიდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ფაილებს ოპოზიციურ ტელეარხებს და შესაძლოა – პარტიებსაც, ეს უკვე ფაქტია, თუმცა ჩნდება უფრო და მძიმე სერიოზული კითხვა – გამდიდრებისკენ მიდრეკილი გოგაშვილი ხომ არ აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციებს რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს და სხვა ფაქტორებთან ერთად, ამასაც ხომ არ უკავშირდება მისი უეცარი და ოფიციალურ შემოსავლებთან შეუსაბამო გამდიდრება?

როგორც ირკვევა, შარშან, ოქტომბრის შუა რიცხვებში, გოგაშვილის ახლო მეგობარი, ოპოზიციური პარტიის ცნობადი სახე, ერთ-ერთ უცხო ქვეყანაში გაემგზავრა. მასთან ერთად გაემგზავრა გოგაშვილის ოჯახის წევრი, სადაც შედგა შეხვედრა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან და იმ ქვეყნის სპეცსამსახურებთან დაახლოებულ პირებთან. გამოძიების დაინტერესების შემთხვევაში, ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** მზად არის ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მიაწოდოს ინფორმაცია.

„ყველა წესისა და ტრადიციის გათვალისწინებით, ეს ადამიანი სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში არ უნდა მოხვედრილიყო. ეს არის ჩემი ძალიან მოკლე პასუხი. ყველა დანარჩენი ქვეშეკითხვა უბრალოდ ამ ჩემი პასუხიდან გამომდინარეობს. მის დღევანდელ, გუშინდელ და ხვალინდელ ქმედებაზე პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილონ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ეს დაუშვეს. ეს არის ჩემი ერთადერთი კომენტარი ამ თემასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კითხვას – ვაჭრობს თუ არა? – გოგაშვილი არის ვაჭარი, მან ვაჭრობის მეტი ცხოვრებაში არაფერი იცის. ვაჭრობა ძალიან კარგი თვისებაა, ოღონდ არა სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში. ამ სისტემაში ვაჭრობა და ყოფილი ვაჭარი არის დამღუპველი. ეს არის ბიძგი სახელმწიფო ღალატისკენ და ბიძგი ამ სისტემის ჩამოშლისკენ. ისევ და ისევ ვუბრუნდები ჩემს ერთადერთ კონკრეტულ პოზიციას – ასეთი ადამიანი სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში არ უნდა მიეღოთ“...

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** აცხადებს, რომ ზოგადად, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი იძლევა იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ გოგაშვილი დამოუკიდებლად არასოდეს არ მოქმედებდა.

„თუ პროცესს მთლიანად გაანალიზებთ, სისტემაში შემოსვლიდან დღემდე, ეს არის გარკვეული ციკლი იმისა, როგორ ეწეოდა ხელისუფლების კომპრომენტაციას და მინდა გითხრათ, რომ ბევრი რამ, რაც მის მიერ ჟღერდებოდა და ჟღერდება, შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის უკან დგას ხელისუფლების მიზანმიმართული კომპრომენტაცია.

შესაბამისად, ეს მეთოლოგია რასაც გოგაშვილი იყენებს, მთლიანი ჯაჭვია იმ შემოტევისა, რომელშიც იმყოფება საქართველო. საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებს ძალიან ბევრი უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახური. ყველა სახელმწიფოს თავისი ინტერესები აქვს. მაღალი ალბათობით, გოგაშვილი ამ სპეცსამსახურებისთვის ხელსაყრელი მოქმედებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის“.

დ. კუხალაშვილის თქმით, გოგაშვილმა ხელისუფლებასთან ვაჭრობა დაიწყო მას შემდეგ, რაც გაიყვანეს იმ სივრცედან, სადაც კომფორტულად იყო.

„როგორც კი დატოვა სუსი, აი, იქიდან მოყოლებული, დაპატიმრებამდე დიდი ხნით ადრე, როდესაც პირდაპირ ეთერში აანონსებდა ა-ო-ს შექმნას, განაახლა და გააგრძელა ვაჭრობა და აგრძელებს დღესაც. ჩანს, რომ მისი ვაჭრობა არის უნიჭო და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მხარდაჭერა არ აქვს, მაგრამ რიგი პოლიტიკური პარტიებისათვის ეს პროცესი გამოიყენება მყარ მტკიცებულებათა ბაზად. რეალურად გოგაშვილის და საქართველოში დესტაბილიზაციის მოსურნე პოლიტიკური პარტიის განცხადებები ერთ მიზანს ემსახურება – საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შექმნან უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი. ეს არის წინა ეტაპი იმისათვის, რომ საქართველოში მოხდეს ე.წ. მშვიდობიანი, ან სისხლიანი რევოლუცია - ანუ, გადატრიალება. მის ყველა გამონათქვამს და მოსაზრებას ძალიან კარგად აპიარებენ უცხო სახელმწიფოში, საქართველოში დესტაბილიზაციით დაინტერესებული პოლიტიკური პარტიები და მათ შორის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები“.

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, სოსო გოგაშვილის ზედმეტსახელი „ანტრეკოტა“ კარგად ასახავს, თუ ვინ იყო და საიდან მოდის. 2013 წლის პოლიტიკური და სოციალური ქარტეხილების ფონზე, ის აღმოჩნდა იქ, სადაც აღმოჩნდა და შემდეგ მისი თქმით, დაამთავრა ისე, როგორც უნდა დაემთავრებინა, რადგანაც სხვა გამოსავალი თავადაც არ დაიტოვა მისი სიხარბისა და უსაფუძვლოდ გაღვიძებული ამბიციების გამო. ასე ემართებათ მათ, ვინც იყო არავინ და არაფერი და გახდა ვიღაც და რაღაც.

„ე.წ. „მამხილებლის“ მანტია გოგაშვილმა მხოლოდ მაშინ მოირგო, როდესაც მიხვდა, რომ მის ირგვლივ წრე იკვრებოდა. იოლი გამდიდრების მოყვარული გოგაშვილი, ალბათ, ისეთივე ენთუზიაზმით გადასცემდა მის მიერ მოპარულ კონფიდენციალურ ინფორმაციას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებსაც, თუკი ფასზე მორიგდებოდნენ. ისინი კი მსგავს ინფორმაციაში, როგორც წესი, კარგად იხდიან. ალბათ, გამოძიება ამაზეც იმუშავებს.

„საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებს ბევრი უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახური და მაღალი ალბათობით, სოსო გოგაშვილი ამ სპეცსამსახურების ხელსაყრელი მოქმედებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის“

მე თუ მკითხავთ, გოგაშვილის დაკავება, მინიმუმ ერთი წლით დაგვიანდა. თუმცა, სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს. დღეს გოგაშვილი, რომელსაც მოსალოდნელი სასჯელის წარმოდგენის შედეგად, სრულიად დაკარგული აქვს ადეკვატურობის განცდა, იქცევა ზუსტად ისე, როგორც კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა, რომელიც ხვდება, რომ თავის დაღწევის შანსი აღარ დარჩა“, – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

თუ საქმეში მთავრობა არ ჩაერია, სხვაგვარად საწვავი არ იაფდება

საქართველოს მთავრობა საწვავის კიდევ უფრო გაიაფებას ელოდება. ივლისსა და აგვისტოში ავტოგასამართ სადგურებში საწვავის ფასის კლება მოხერხდა, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

შესაგამისად, ირაკლი ღარიგაშვილი ამგვარ, რომ მიმდინარე თვეში ფასთა კორექტირება კიდევ იქნება, რაც საერთო ჯამში, 20-30-თეთრიან სხვაობას მოიტანს.

„ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით საქართველოში საწვავის ფასებს და მჭიდრო კოორდინაციაში ვართ კონკურენციის სააგენტოსთან. მიუხედავად იმისა, რომ ლარი გამყარდა, ასევე პლატცის" ფასები არის დაკლებული, ჯერ კიდევ გვაქვს განცდა იმისა, რომ არ პოვა სათანადო ასახვა საწვავის ფასებზე და არ მოხდა საწვავის პროპორციულად გაიაფება. ამიტომაც საჭირო, საწვავის იმპორტიორებთან გავააქტიუროთ მუშაობა.

რეკომენდაციით მივმართე კონკურენციის სააგენტოს, რომ დაიწყონ მოკვლევა და შეამოწმონ იმპორტიორების კეთილსინდისიერება, მაგალითად: რამდენად სწორად ხდება კონკურენციის პირობების არდარღვევა, რამდენად სწორად იცავენ ისინი ამ წესებს და ხომ არ არის რამე სახის გადაცდომა.

ივლისსა და აგვისტოში იმპორტიორებმა 10-10 თეთრით დააკლეს ფასს და ისინი შეგვპირდნენ, რომ კიდევ უფრო მეტად აპირებენ აგვისტოს მოლომდე გაიაფებას, ჯამში 20-30 თეთრით", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ღირებულების შემცირების რესურსზე საუბრობენ კონკურენციის ეროვნული სააგენტოში, რომლის ხელმძღვანელიც აცხადებს, რომ აგვისტოში საწვავის ფასზე კლების ტენდენციის გაგრძელების საფუძველს ლარის კურსის გამყარება იძლევა.

„ჩვენ დავაკვირდებით ტენდენციებს მსოფლიო ბაზარზე, სადაც ფასის შემცირება შეინიშნება სხვადასხვა ტიპის საწვავზე. განსაკუთრებით ვარდება ფასი დიზელის მიმართულებით. ამავე პერიოდში გამოხატულია ლარის კურსის გამყარების ტენდენცია და სტაბილურობა. შესაბამისად, ეს პროცესები გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ აგვისტოში კლების ტენდენცია უნდა გაგრძელდეს. მუნებრივია, ალბათ, კომპანიები ამას თავადაც განაცხადებენ, რადგანაც ეს შესაძლებლობები რეალურად არსებობს", – განაცხადა **ირაკლი ლექვინაძემ**.

კონკურენციის სააგენტო საწვავის ბაზრის მონიტორინგის 2022 წლის იანვარ-ივლისის პერიოდის ფარგლებში მიღებული შედეგების შესაბამისად მოკვლევას იწყებს, რისი მიზანიც იმის დადგენაა, ხომ არ აქვს მსხვილი კომპანიების მხრიდან ადგილი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას.

„კონკურენციის ეროვნული სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის და საწვავის ბაზრის მონიტორინგის 2022 წლის იანვარ-ივლისის პერიოდის ფარგლებში მიღებული შედეგების შესაბამისად მოკვლევას დაიწყებს. მოკვლევის მიზანია გავარკვიოთ, განსაკუთრებით მსხვილი კომპანიების მხრიდან, აქვს თუ არა ადგილი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ 2022 წლის 7 თვის მონიტორინგის ანგარიშში ნათლად ჩანს, რომ კონკრეტულ კომპანიებს საფასო კონკურენტული უპირატესობა გააჩნდათ, თუმცა აღნიშნული საცალო ბაზარზე სათანადოდ არ ასახულა. ამ კუთხით მეტი გამჭვირვალობის შეტანა და საზოგადოების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არის მოკვლევის მიზანი და მთავარი ამოცანა.

მონიტორინგის ფარგლებში მიღებული შედეგების თანახმად რუსეთიდან იმპორტირებული საწვავის შემთხვევაში იმპორტის დონეზე და რუმინეთიდან იმპორტირებული საწვავის შემთხვევაში საბაჟო საწყობის თვითღირებულების გათვალისწინებით კონკრეტულ კომპანიებს გააჩნდათ ფასში კონკურენტული უპირატესობა, თუმცა აღნიშნული ასახვა საცალო ბაზარზე სათანადოდ არ მომხდარა", – აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

საწვავის გაიაფებაზე დაბეჯითებით საუბრობენ ნავთობროდუქტების იმპორტიორთა კავშირში. ამჯერად ფასთა კლება შეეხება როგორც ბენზინის, ასევე დიზელის ტიპის საწვავს. ბოლო დროს დიზელის გაიაფების რეალური შესაძლებლობა გაჩნდა, რაც უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ვერ ხერხდებოდა.

„ფაქტობრივად, ნავთობის ფასი უბრუნდება ომამდელ ნიშნულს. პარალელურად ეროვნული ვალუტაც მყარდება, შესაბამისად ჩვენთანაც საწვავმა გაიაფება დაიწყო. ფასების კლება განსაკუთრებით თვალსაჩინოა არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე, სადაც ბენზინის შეძენა, საშუალოდ, 3 ლარადაა შესაძლებელი.

რაც შეეხება ბრენდირებულ სადგურებს, აქაც შემცირებულია ფასები, როგორც ბენზინზე, ასევე დიზელზე. აღსანიშნავია, რომ ეს ტრენდი გაგრძელდება და უახლოეს პერიოდში საწვავი კიდევ უფრო გაიაფდება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი კვლავ სახეზეა, მოლოდინი საკმაოდ ოპტიმისტური გვაქვს. აგვისტოს თვეში ფასების კლება გაგრძელდება", – განაცხადა ნავთობროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ **ვანო მთვრალაშვილმა**.

ბოლო ინფორმაციით, საერთაშორისო ფასი ე.წ. პლატცის მიხედვით, ერთი ტონა ბენზინზე 917 დოლარია. რაც შეეხება დიზელს, მისი ფასი 1 022 დოლარამდეა შემცირებული.

ბექა დანელია

ევროპელები უმძიმესი ზამთრის მოლოდინში!

შუა აზიის ენერგორესურსებს სად წაიღებენ, თუ საქართველოში ცეცხლი დაინთება, ევროპამ ამაზე უნდა იფიქროს

იმისთვის, რომ ევროპელები ზამთარში ყინვას გადაურჩნენ, აზერბაიჯანთან გამართეს მოლაპარაკებები ბუნებრივი აირის შესყიდვის თაობაზე. ცხადია, მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემდეგ ევროპისთვის გაზის მიწოდების ტრანზიტული ფუნქცია საქართველოს დაეკისრება, რაც რუსეთისგან საფრთხეებს კიდევ უფრო გაზრდის. თუკი რუსეთი თავის ნედლეულს ევროპაში ვეღარ გაყიდის და მას ჩამნაცვლებლები გაუჩნდება, ადვილი წარმოსადგენია, მშიერი დათვი რას მოიმოქმედებს და ვის ამოიღებს სამიზნედ?!

ევროკომისიამ ბუნებრივი აირის გაორმაგების შესახებ აზერბაიჯანთან მემორანდუმს უკვე ხელი მოაწერა, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანმა „სამხრეთის ბუნებრივი აირის" დერეფნის სიმძლავრის გაორმაგების ვალდებულება აიღო. შედეგად, 2027 წლისთვის ევროკავშირს აზერბაიჯანიდან წელიწადში, მინიმუმ, 20 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უნდა მიეწოდოს. გარდა ამისა, აზერბაიჯანი ვალდებულებას იღებს ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება არსებული 8 მილიარდი კუბური მეტრიდან 12 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზარდოს 2022 წელს.

რა ელის საქართველოს ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ტრანზიტულ ქვეყნად გადაქცევის შემთხვევაში?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ საქართველოს გავლით ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება საქართველოსთვის გაზრდის შესაძლებლობებსაც და საფრთხეებსაც, რადგან უფასო არაფერი არ არის.

„თუ სარგებელი გინდა, ცოტა უნდა გარისკო კიდეც. ამ რისკის გამო ტრანზიტის ფუნქციაზე უარი რომ ვთქვათ, ეს შეუძლებელი და უაზროც იქნება. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?! უნდა მივესალმოთ, თუ საქართველოს ფუნქცია გამყარდება სატრანზიტო დერეფნის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, რუსეთს ეს არ გაუხარდება. სატრანზიტო ფუნქცია რომ საქართველოზე გადმოვა, რუსეთი ამით განაწყენდება, მაგრამ ამ ვითარებაში ეს არ უნდა იყოს ჩვენი შემაკავებელი. დაბომბვა ასე მარტივად არ ხდება, აქ მარტო საქართველო ხომ არ არის მოთამაშე? ეს საერთაშორისო პროექტია, სადაც მონაწილეობს აზერბაიჯანი, თურქეთი, ევროკავშირი. ასე რომ, საქართველოს დაბომბვა თურქეთის დაბომბვაც იქნება, აზერბაიჯანისაც და ევროკავშირისაც. მესმის, რუსია, მაგრამ მასაც არ უღირს ასეთი სიგიჟის გაკეთება", – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მისივე თქმით, **არსებობს რაღაც, რაც რუსეთსაც აკავებს, პირველ რიგში, ის, რომ საპასუხო ზომები იქნება მის მიმართ მიღებული. რუსეთს ძალიან ძვირად უღირს თურქეთთან კარგი ურთიერთობა. ეს დადასტურდა კიდეც, როცა ირანში ჩავიდნენ პუტინი და ერდოღანი და სამთა შეხვედრა გაიმართა. მით უმეტეს, რუსეთის მთელ სამხრეთ ფლანგზე, სამხრეთ საზღვარზე ნაწილობრივ პროთურქული გავლენის ქვეყნებია, ერთი ნაცია ცხოვრობს, ეთნიკური თვალსაზრისით, ყველანი მონათესავენი არიან და თურქულენოვან ტომებს წარმოადგენენ.**

ანალიტიკოსის აზრით, **ვითარება კიდევ უფრო დელიკატური ხდება, რადგან ჩინეთის გავლენა იზრდება სამხრეთის მიმართულებით. ასე რომ, რუსეთი ყველანაირად მოერიდება თურქეთთან კონფლიქტს. ამიტომ სერიოზული დესტაბილიზაცია კავკასიაში მოსალოდნელი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მცდელობა, ყარაბაღშიც მოვლენები დაძაბონ და პოლიტიკური სიმწვავე შექმნან კავკასიაში.**

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** აცხადებს, რომ კავკასიაში ომის დაწყების შემთხვევაში, რა შედეგები მოჰყვება ამას ევროპისთვის იმ კუთხით, რომ საქართველო არის ენერგორესურსების ტრანზიტული ქვეყანა, ეს კიდევ ცალკე თემაა. არც ღირს იმის დაკონკრეტება, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მთელი კავკასია.

„ჩვენ ვნახეთ ევროკავშირის მაღალჩინოსნის ვიზიტი ბაქოში ენერგორესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით. ომის დაწყების შემთხვევაში, მხოლოდ საქართველოზე არაა საუბარი, ეს მძიმე იქნება ევროპისთვის. ევროპამ უნდა იფიქროს ენერგორესურსების დივერსიფიცირებაზე. ფაქტობრივად, ევროპელები ახლა უმძიმესი ზამთრის მოლოდინში არიან. აზერბაიჯანის ნავთობს და გაზს, გინდაც შუა აზიის ენერგორესურსებს სად წაიღებენ, თუ საქართველოში ცეცხლი დაენთება, ევროპამ ამაზე უნდა იფიქროს", – აღნიშნა **ამირან სალუქვაძემ**.

მანანა ნოზაძე

ხორბლის კრიზისი წარსულს ჩაბარდა, ფასებიც სულ უფრო მცირდება

მსოფლიოშიც და ჩვენს მეზობლადაც მარცვლეულის ფასებთან დაკავშირებით აშკარად სასიკეთოდ იცვლება ვითარება. ფასები მცირდება, ხოლო დეფიციტის საფრთხე უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. ეს მნიშვნელოვნად უკეთესობისკენ შეცვლის ვითარებას საქართველოშიც, სადაც უკვე საუბრობენ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის **ლევან სილაგავას** ინფორმაციით, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, ბაზარზე დადებითი ტენდენცია იკვეთება.

„საქართველოში მოსავლის აღება მალე დამთავრდება. ნაწილი ფერმერებმა უკვე დააბინავეს და არ ყიდიან. ტრადიციულად ელოდებიან უკეთეს ფასს სეზონის შემდეგ. ნაწილი იყიდეს წისქვილებმა და მიდის გადამუშავება. საუბარია მცირე წისქვილებზე, რომლებიც იგივე ზონაში არიან, სადაც ყანებია. ე.წ. სეზონური წისქვილები კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში.

დიდი, ინდუსტრიული წისქვილები კვლავ შეზღუდულად მუშაობენ. ძირითადად გადალაგდნენ ფქვილის იმპორტზე. თუმცა, რაღაც ნაწილს ხორბალი მაინც შემოაქვს. მცირე რაოდენობით, თუმცა ხორბლის იმპორტი განახლდა, რადგან მსოფლიოში ხორბლის ბაზარზე სასიკეთო ძვრები დაიწყო", – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს" სილაგავამ და დასძინა, რომ ყველა დიდი წისქვილკომბინატი კვლავ გაჩერებულია. მხოლოდ საშუალო სიმძლავრეების მქონე წისქვილების

ახლა უკრაინაში საბჭოთა სპეცსამსახურებში გამობრძმედილი მაძცია სპეცოპერაციას ატარებს. ვინც მას არ მოუსმინა, დღეს დარწმუნებულია, რომ რუსეთი სულ მალე დაიშლება. ორივე მხარე – დასავლეთიც და რუსეთიც, ატომური იარაღის გამოყენებაზე ალაპარაკდა.

დასავლური „ჰაიმაქსებით“ შეიარაღებული უკრაინელები და „ისკანდერებით“ გულმოცემული და „ცირკონებით“ გაამაყებული რუსები ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის გარშემო, უცნაურ დავლურს უვლიან.

The Economist-ი, რომელიც ყოველთვის შეუცდომლად პროგნოზირებს გლობალური მასშტაბის მოვლენებს, წერს – რა უბიძგებს დასავლეთს და რუსეთს გააჩაღონ ატომური ომი (What Would push the West and Russia to nuclear war)? რუსებიც სულ უფრო ხშირად საუბრობენ ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობაზე.

ვინც შავი ზღვის და ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე ირუჯებით (ღმერთმა შეგარგოთ), უბრალოდ, თბილისურ ხვატში ჩარჩენილი შეგახსენებთ, რომ საფრთხე

სულ მალე ინდოეთის მოსახლეობა რაოდენობით ჩინეთისას გადაასწრებს. შტატები გლობალური ჰეგემონის მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობს. რუსეთის და ჩინეთის ხელმძღვანელებმა მრავალპოლარულ მსოფლიოზე საუბარი შეწყვიტეს და BRICS-სზე აპელირებენ, როგორც დასავლეთის ანტიმოდელზე, რაც არ გამორიცხავს კისინჯერის მრავალი წლის მცდელობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაბირებული ჩინეთის მოწინააღმდეგე ღერძის საყრდენად აღმოჩენას. სანქციების თემამ, ჩინეთის

ერთი წელი ავღანური სირცხვილიდან

ზუსტად ერთი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატები და კოალიცია გამოვიდა ავღანეთიდან. იქ ხელისუფლებაში მოვიდნენ თალიბები. ეს „გამოსვლა“ ძალიან ჰგავდა გამოქცევას. მსოფლიომ ნახა აფრენილი თვითმფრინავის შასიდან როგორ ცვიოდნენ ადამიანები, რომლებმაც ვერ გააღწიეს ავღანეთიდან... 2 ტრილიონი დოლარი წყალში გადაიყარა...



6 რეაქტორის მქონე ეს სადგური უდიდესია ევროპაში და მისი ერთი რეაქტორიც რომ აფეთქდეს, შედეგები უმძიმესი იქნება, როგორც უკრაინისთვის, ისე რუსეთისთვის და არა მარტო ამ ორი ქვეყნის მოსახლეობისთვის. რადიაციის დამაზიანებელი დონე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებშიც გავრცელდება. რას ემსახურება ეს უგუნურთა დავლური, მხოლოდ პუტინმა, ზელენსკიმ და დასავლურმა „ტვინის ტრესტებმა“ იციან...

რუსული პროპაგანდა არ გამორიცხავს ატომურ აპოკალიფსისსაც. ამ საშიშროების დასავლური კონოტაციაც შემაშფოთებელია. პენტაგონში, ახლახან, ამერიკელმა პოლკოვნიკმა ლექცია წაიკითხა და ამტკიცებდა, რომ ატომურ ომში გამარჯვება შეიძლება... აქამდე ყველა საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იყო შეჯერებული...

რეალურია. ჰოლივუდის ზღაპრები ატომურ აპოკალიფსზე გამორიცხული არ არის, ახდეს. ჩვენ კი ამ ყველაფერს ვერ ვამჩნევთ...

შტატებში არჩევნები მოდის. რას მოიმოქმედებს უკრაინაში მარცხის შემთხვევაში მხცოვანი ბაიდენი და მისი ადმინისტრაცია, ძნელი სათქმელია. არცთუ მაღალი რეიტინგის ფონზე, ეყოფა მას და მის გუნდს ჩინეთის შერცხვენა და ტრამპის ნეიტრალიზების მცდელობები მეორე ვადით ასარჩევად?

რა მოხდება, თუ რუსეთი დამარცხდება უკრაინაში? – თეორიულად არც ეს არის გამორიცხული. და რას იზამს უკრაინაში დამარცხებული პუტინი, რას მოიმოქმედებს? არ გამოდიან ეს რუსები ქუჩაში, პუტინი კი უკვე არ ერიდება ატომურ შანტაჟსაც. ყველა პოტენციური კონფლიქტი ერთი მეორეს მიყოლებით ცხელ ფაზაში შედის.

ეკონომიკის წინააღმდეგ, არ გაამართლა და სავარაუდოდ არც დემოკრატების ეფექტურ ინსტრუმენტად გამოდგება. ამ ყველაფერს, ამ საუბრებსა და ეჭვებს, ამ მიეთ-მოეთს, ატომური კატასტროფა სულ ერთიანად წაშლიდა და გააქარწყლებდა. ასეთ ვითარებაში საუბრები მშვიდობაზე, პრობლემების მოლაპარაკებების გზით გადაჭრაზე და ცოტა პათეტიკურად რომ ვთქვათ, კაცობრიობის ბედნიერ მომავალზე, აბსურდის თეატრად ყველაფრის გადაქცევას ჰგავს. ამიტომ არც არავინ საუბრობს.

მე და თქვენ ვინ გვეკითხება, მაგრამ გამოფხიზლების დროა!

ვაჟა ბერიძე,
პოლიტოლოგი

მცირე ნაწილი და მცირე წისქვილები ამუშავებენ ადგილობრივ მოსავალს. მეზობელი ქვეყნებიდან მარცვლეულის ფასთან დაკავშირებით მართლაც პოზიტიური ინფორმაციები მოდის. რუსეთის ფერმერთა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია მარცვლეულის წარმოების შესანარჩუნებლად სახელმწიფო ინტერვენციული ფონდის მიერ შესყიდვების გაზრდასა და მარცვლეულ კულტურებზე საექსპორტო გადასახადის გაუქმებას მოითხოვს. მიზებად მიმდინარე წელს შიდა ბაზარზე მარცვლეულის ფასების კოლაფსს, ანუ მკვეთრ შემცირებას ასახელებს.

„ბაზარზე მარცვლეულის ფასები ჩამოიშალა, ხარჯები კი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოქმედი ფასები გაწეულ ხარჯებს ვერ ფარავს“, – ნათქვამია ასოციაციის მიმართვაში. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო საქონელზე ფასები წლის დასაწყისიდან აგვისტომდე 1,5-3-ჯერ გაიზარდა, ხოლო მე-4 კლასის ხორბლის ღირებულება იმავე პერიოდში კილოგრამზე 18-20 რუბლიდან 12-13 რუბლამდე %0,30-0,33 დოლარიდან 0,19-0,21 დოლარამდე) შემცირდა.

„იმ პირობებში, როცა მარცვლეულის ფასი თვითღირებულებაზე დაბალია, ფერმერები შესაძლოა, გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ. მკაცრი სანქციების პირობებში საჭიროა გადაუდებელი ზომების მიღება, რომელიც ფერმერთა მეურნეობების გაკოტრებას არ დაუშვებს“, – აღნიშნავენ ასოციაციაში.

ასოციაცია გლობალური ღონისძიების გატარებას, ანუ მარცვლეულზე სახელმწიფო კომპანიის შექმნას მოითხოვს, რომელმაც შიდა ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანი ვარდნის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისგან პროდუქცია ყველაზე დაბალ ფასად უნდა შეიძინოს. თუ კილოგრამის ფასი, მაგალითად, კვლავ 18-20 რუბლამდე (0,30-0,33 დოლარამდე) გაიზარდა, ფერმერებს უნდა ჰქონდეთ უფლება, სახელმწიფო კომპანიისგან თავიანთი მოსავალი ადრინდელი დაბალი, ფიქსირებული ფასით გამოისყიდონ.

როგორც „ბიპიენი“ წერს, წელს კრასნოდარის მხარეში მარცვლეულის ღირებულება, თითქმის, მესამედით დაეცა და 2017 წლის დონეს მიუახლოვდა: ნოვოროსიისკის ტერმინალში კილოგრამის ფასი დაახლოებით 14 რუბლია (0,23 დოლარია), ხოლო ადგილზე 12-12,5 რუბლად (0,19 დოლარად) იყიდება. ამასთან, მხარეში მარცვლეულის თვითღირებულება წელს შარშანდელზე მაღალია და საშუალოდ, 9-დან 10 რუბლამდე (0,14-0,16 დოლარამდე) შეადგენს. როსტოვის ოლქში მესამე კლასის კილოგრამ ხორბალზე ტრეიდერების საშუალო შესყიდვის ფასი 15 რუბლი (0,24 დოლარი), მეოთხე კლასზე 14,6 რუბლი (0,24 დოლარი), ხოლო მეხუთე კლასის ხორბალზე 12 რუბლი (0,19 დოლარი) დადასტურდა.

ბექა დანელია

THE WASHINGTON POST

უკრაინაში ზელენსკის აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან ომის შესახებ მოსახლეობა არ გააფრთხილა!

უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან ომის შესახებ მოსახლეობა არ გააფრთხილა.

„ამ კვირამდე უკრაინელები თვლიდნენ, რომ პრეზიდენტი ზელენსკი საყვედურს მიღმა იყო. ის ითვლებოდა ეროვნულ გმირად, რომელიც დარჩა კიევში, არსებული საფრთხეების მიუხედავად. თუმცა კომენტარებმა, რომლებიც მან გააკეთა The Washington Post -თან ინტერვიუში იმის თაობაზე, თუ რატომ არ იყო მოსახლეობა გაფრთხილებული ომის დაწყების შესახებ, გამოიწვია საზოგადოებრივი კრიტიკის კასკადი, რომელიც ომის დაწყების შემდეგ უპრეცედენტო იყო“...

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ რიგითი მოსახლეობა, რომელიც ომის დაწყებისას მოუმზადებელი აღმოჩნდა, ფიქრობს, რომ შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში განსხვავებულად მოემზადებოდნენ ამისთვის, მეტიც, საზოგადოების ნაწილმა მომხდარ უბედურებებზე პასუხისმგებლობის ნაწილი ზელენსკისაც დააკისრა.

როგორც WP-სთან ინტერვიუში ზელენსკიმ განაცხადა, ის შიშობდა, რომ უკრაინელები მიეცემოდნენ პანიკას, მასობრივად დატოვებდნენ ქვეყანას და გამოიწვევდნენ ეკონომიკის კოლაფსს. მისივე თქმით, სწორედ ამიტომ არ გაუზიარა მან მოსახლეობას ინფორმაცია რუსეთის გეგმებთან დაკავშირებით, რომელიც მან აშშ-ის ოფიციალური პირებისგან მიიღო.

„ეს ინფორმაცია რომ გაგვესაჯაროებინა, ოქტომბრიდან მოყოლებული, ყოველთვიურად 7 მილიარდ დოლარს დავკარგავდით და როდესაც რუსეთი თავს დაგვესხა, ისინი სამ დღეში გაიმარჯვებდნენ“, – განაცხადა ზელენსკიმ.

ბევრ უკრაინელს არ მოეწონა ის, რომ ზელენსკისთვის ეკონომიკა მათ კეთილდღეობაზე უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა. მათი ვარაუდით, უამრავი ადამიანის გადარჩენა შეიძლებოდა, თუ მთავრობა ადეკვატურად მოამზადებდა მოსახლეობას ომისთვის.

თუმცა აღმოჩნდა ბევრი ისეთიც, ვინც ზელენსკის პოზიცია დაიცვა. მათი აზრით, უკრაინულ მედიაში ვრცელდებოდა ამერიკული სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, სადაც აშშ-ის ოფიციალური პირები ომის მოახლოებაზე საუბრობდნენ, შესაბამისად, **„უკრაინელები, ვინც ამერიკული სპეცსამსახურების მოხსენებებს მედიაში გაეცნო, ვერ იტყვიან, რომ ისინი არავის გაუფრთხილებია“,** – აღნიშნულია სტატიაში.

უკრაინაში რუსეთის აგრესიას 363 ბავშვი ემსხვერპლა

უკრაინის გენერალური პროკურორის ინფორმაციით, უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული აგრესიის შედეგად 363 ბავშვი დაიღუპა და 700-ზე მეტი დაშავდა. პროკურატურის ცნობით, სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო სულ 718-მა ბავშვმა.

ბავშვების უმეტესობა დაიღუპა ან დაშავდა დონეცკის, ხარკოვის, კიევის, ჩერნიგოვის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიის ოლქებში.

გარდა ამისა, რუსული ჯარების მიერ უკრაინის ქალაქებისა და სოფლების მუდმივი დაბომბვის გამო დაზიანდა 2 328-ზე მეტი სასწავლო დაწესებულება, 289 მთლიანად განადგურდა.

პროკურატურის ცნობით, აღნიშნული მონაცემები არასრულია, რადგან მიმდინარეობს მუშაობა დაშავებულთა ზუსტი რაოდენობის დასადგენად აქტიური საბრძოლო მოქმედებების ადგილებში, ასევე დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე.

26-საუკუნოვანი მეგობრობის დაუვიწყარი დღეები

1. არიელ შარონი

1985 წელი იყო. საქმიანი ვიზიტით მეუღლესთან ერთად ისრაელს ვეწვიეთ. ჩვენს მასპინძლებს უნდოდათ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე სწრაფი მეთოდით აეშენებინათ საცხოვრებელი სახლები. ამ მისიით თბილისში ორჯერ ჩამოვიდნენ ძმები ფიჩხაძეები არქიტექტორთან და კონსტრუქტორთან ერთად. მათ შეისწავლეს ჩვენი სწრაფი მშენებლობის მეთოდი და ძალიან მოეწონათ. მაშინ უკვე ათვისებული გვქონდა „მოცულობით-ბლოკური“ კონსტრუქციები, რომლებიც საავსებით აკმაყოფილებდა პარტნიორთათვის საჭირო ხარისხსა და მშენებლობის ტემპებს. ჩვენ და ისრაელის მხარემ საქართველოს მთავრობაში დავარეგისტრირეთ პირველი ერთობლივი წარმოება.

ბედნიერი დამთხვევის წყალობით, ისრაელში ჩასვლის მეორე დღეს, თელ-ავივში მორის ფიჩხაძის ქალიშვილის ქორწილი იყო დანიშნული და, რა თქმა უნდა, ჩვენც მიგვიწვიეს. საოცარი სანახაობა ვიხილეთ: უზარმაზარ და ულამაზეს დარბაზში, ოვალურ ათ-თხუთმეტკაციან სუფრებზე ყველაფერი ბრწყინავდა! განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თამადამ, იქაური ქართულენოვანი ჟურნალ „დროშის“ რედაქტორმა, წარმოშობით ქუთაისელმა ხაიმ ხუბელაშვილმა. ის განათლებით ფილოლოგი იყო და ბრწყინვალე ქართულით მეტყველებდა.

ქორწილს ესწრებოდნენ ლეგენდარული ნინო რამიშვილი, მისი ვაჟი თენგიზი და რძალი ინგა თევზაძე. თენგიზმა და ინგამ იცეკვეს. არც მე დავრჩენილვარ „ვალში“ და ქალბატონი ინგა გავიწვიე. ჩემი „ცეკვა“ განსაკუთრებით მოეწონა ქალბატონ ნინოს. ერთი სიტყვით, კარგად მოვილხინეთ.

მაგრამ ყველაფრის აპოთეოზი მაინც ქალბატონ ნინოს ცეკვა იყო. შეუჩნდნენ, „ჯეირანი“ გვიცეკვეთო. მან ჯერ უარი განაცხადა, მერე კი ასეთი პირობა წამოაყენა:

– იმ შემთხვევაში ვიცეკვებ, თუ დოლარებს არ გადმოაგნევთ!

თურმე, ისრაელში ასეთი წესი ჰქონიათ და ეს ქალბატონმა ნინომ კარგად იცოდა. ზღაპრულად იცეკვა! ოვაცია გაუმართეს და... დოლარებიც ბლომად აფრიალეს. პატარა ბიჭები დადიოდნენ და კრეფდნენ. მოჰკიდა ხელი ნინომ იმ ბიჭებს და დამკვრელებთან მიიყვანა – მთელი ფული იმათ დაუპნია!

და აი, ყველასთვის მოულოდნელად თამადა მიკროფონით აცხადებს:

– ეს წუთია, მოვიდა მთავრობის დეპეშა: მშენებლობის მინისტრი არიელ შარონი ხვალ დილით, იერუსალიმში, თავის ოფისში იწვევს ბატონ ომარ მარგველაშვილს მეუღლითურთ!

ცნობილია, რომ არიელ შარონს დიდი ბრიტანეთის სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და იბრძოდა ლეგენდარულ გენერალ მოშე დაიანთან ერთად. იყო თავდაცვის მინისტრი.

არიელ შარონი წარმოადგენდა ქვეყნის ჯეშმარიტ სიმბოლოს. ცნობილია, რომ მას იერუსალიმიდან მაშინაც კი არ მოუცვლია ფეხი, როცა მთავრობის სხვა წევრები იქ ვერ ჩერდებოდნენ, რადგან არაბები არ ისვენებდნენ და ქალაქის სიმშვიდეს გამუდმებით არღვევდნენ.

მოგვიანებით ის გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი და შემდგომ – ქვეყნის პრემიერი.

ვიფიქრე, არიელ შარონი მე არ მიცნობს და ხუბელაშვილი ასე „უკბილოდ“ რად ხუმრობს-მეთქი. თამადა თვითონ მოვიდა ჩემთან და დეპეშა მაჩვენა. რა თქმა უნდა, ივრითის ენაზე იყო შედგენილი და ვერ წავიკითხე. ხაიმმა მითარგმნა და მეტი დამაჯერებლობისთვის მითხრა:

– მარტო თქვენ კი არა, თქვენს მეუღლეს, ქალბატონ ბელასაც იწვევს. თარჯიმანი ხომ დაგჭირდებათ? წამოვალ და ამ მოვალეობას, თქვენი ნებართვით, მე შევასრულებ!

ბატონ არიელ შარონთან დილაადრიან გავემგზავრეთ. შეპირებისამებრ, წამოგვყვა ხაიმ ხუბელაშვილი და მასთან ერთად ძმები ფიჩხაძეები, ჩვენი პარტნიორები.

მინისტრი უკვე გველოდა. შეგვიყვანეს მოკრძალებულ პატარა კაბინეტში. გულთბილად მიგვიღო. ჩვენი პარტნიორები წარვუდგინე.

– ვიცი, რომ კარგ საქმეზე ჩამოხვედით, ამიტომ მეც ყოველნაირად დაგეხმარებით. მით უმეტეს, ქართველები ხართ, ქართველთა მიმართ კი განსაკუთრებული გრძნობა მაქვს...

გვიამბო, რომ შარშან დედა გარდაეცვალა. სიკვდილის წინ მას შვილი მოუხმია და უთქვამს:

– თბილისი ჩემი და მამაშენის სიყვარულის ქალაქია. ერთმანეთი იქ, უნივერსიტეტში გავიცანით და შევუღლდით. ოციან წლებში ბოლშევიკების რეპრესიებს გამოვექეცით. ეს რომ არა, შეიძლება ახლაც იქ ვყოფილიყავით. აუცილებლად უნდა ჩახვიდე და ეს მშვენიერი ქალაქი ინახულო, იქ ბებიისა და დეიდაშვილის საფლავები გელის...

თვითონ არიელ შარონი ისრაელში დაბადებულა და, როგორც გვითხრა, დედის თხოვნა არასოდეს დავიწყნია:

– საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს, ელჩი არ გვყავს, ამიტომ ოფიციალურ თხოვნას აზრი არა აქვს. იქნებ, თქვენ მიმიწვიოთ? აუცილებლად ჩამოვალ!

გადაჭრით არაფერს შევპირებივარ, მაგრამ ვუთხარი, რომ ყველა ღონეს ვიხმარდი. მას საჩუქრად გადავეცი ლამაზი ხანჯალი და სამი ბოთლი სხვადასხვა სახის საუკეთესო ქართული ღვინო.

ისრაელში ჩვენს მომავალ საქმიანობაზე ბევრი ვისაუბრეთ. დახმარება და მხარდაჭერა აღგვითქვა. მერე გამოგვაცილა და თბილად დაგვემშვიდობა.

იერუსალიმში დიდი პატივი გვცა წარმოშობით ქუთაისელმა ებრაელმა რაფო ბალუაშვილმა – რაფო ბალუამ, ნაბრძოლმა პოლკოვნიკმა, რომელიც თელ-ავივში ქორწილში გავიცანი. იგი ჩვენს მაგიდასთან იჯდა, ძალიან სიმპათიური მაროკოელი მეუღლითურთ. გვითხრა, ისრაელიდან ჯვრის მონასტრის უნახავად ვერ გაგიშვებთო. არადა ამაზე ხომ ჩვენც ვოცნებობდით. მიუხედავად მასპინძლის თადარიგისა, ბერძენმა მღვდლებმა მართლაც რომ ჯვარს გვაცვეს – მონასტერში არ გვიშვებდნენ! ბოლოს, ჩვენსას მაინც მივაღწიეთ და რუსთაველის ფრესკასთან, შემდეგ წლებში ბერძნებმა რომ გადაფხიკეს, სურათი გადავიღეთ. ვნახეთ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ მონასტრისათვის ნაჩუქარი ილია მართლის ხატი.

ხატი მონასტერში ჩვენ შევაბრძანეთ, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კი ლოცვა აღავლინაო, – სიხარულით გვამცნო რაფო ბალუაშვილმა.

ბატონმა რაფომ ოჯახში მიგვიწვია. შესანიშნავად გვიმასპინძლა მისმა მშვენიერმა მეუღლემ ქალბატონმა რახილმა და არაჩვეულებრივი გარეგნობის ქალიშვილმა, რომელიც თურმე ისრაელის უშიშროების სამსახურის – „მოსადის“ ოფიცერი ყოფილა.

ბატონმა რაფომ გვითხრა, რომ თურმე საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი მისი ძმისშვილი ყოფილა. ბატონ ანზორს მე კარგად ვიცნობდი – ის მაღალი რანგის პროფესიონალი იურისტი და კეთილგონიერი პიროვნებაა.

რაფო ბალუაშვილი (შუაში), ომარ მარგველაშვილი და ბელა ლოლაძე შოთა რუსთაველის ფრესკასთან იერუსალიმში 1985 წელს

ვიზიტის ვადა ამოიწურა და დავბრუნდით მოსკოვში. მაშინ ხომ ყველაფერი „აქედან“ კეთდებოდა! ვიზების გაფორმებაზე ერთი კვირა მაინც გვეკარგებოდა! ისრაელში მიმავალი ჯერ ვარშავაში ჩავფრინდით, ღამე გავათიეთ და თელ-ავივისკენ მერეღა ავიღეთ გეზი. ისრაელიდან დაბრუნებულებმა უნგრეთში „შევიარეთ“, ღამე ბუდაპეშტში გავათენეთ. მოსკოვში ისეთი საშინელი და შეურაცხმყოფელი ჩხრეკა მოგვიწყვეს, კაცს უცხოეთისკენ მეორედ გახედვა აღარ მოუნდებოდა!

მოსკოვი-თბილისის თვითმფრინავში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნოდარ ჭითანავა უკვე თავის ადგილზე იჯდა. დამიძახა და გვერდით მომისვა. რომ გაიგო, ისრაელიდან ვბრუნდებოდი, იქაური ამბები გამომკითხა.

შემთხვევით ვისარგებლე და არიელ შარონის თხოვნა გადავეცი.

– არიელ შარონი ღირსეული პიროვნება და ისრაელის ეროვნული გმირია. ჩვენ ოფიციალურად ვერ მოვიწვევთ. ეგ საქმე თქვენმა სამინისტრომ ითავოს, მე კი ყველანაირად დაგეხმარებით. პირობას გაძლევ, მიღებითაც მაღალ დონეზე მივიღებთ...

ეს ნიშნავდა - აეროპორტში დახვედრას, კრწანისის რეზიდენციაში ცხოვრებას, ავტომანქანით და თარჯიმნით მომსახურებას, კვებას...

მადლობის მეტი რა მეთქმოდა!

ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა მაშინდელ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელთან საქართველოში რაფიელ ელიგულაშვილთან. ის იყო მართლაც რაფინირებული ინტელიგენტი. მინისტრთა საბჭოში შემხვდა და არიელ შარონთან შეხვედრის შესახებ ვუამბე. ძალიან გაიხარა. თუ ჩამოვა, მეც შემახვედრეო, მთხოვა... ამ დროს სამინისტროს სახელით უკვე გაგზავნილი გვქონდა მოწვევა. პასუხი იგვიანებდა. მეორე წერილიც გავაგზავნეთ. არც იმაზე გვიპასუხეს. გვიან გავიგე, თურმე მოსკოვი ბლოკავდა...

ერთხელაც, დილაადრიან, რაფიელი მირეკავს, ომარ ალექსანდროვიჩ, დღევანდელი „პრავდის“ მოწინავე თუ წაიკითხეო. მივხვდი, რაღაცაში იყო საქმე, ამიტომ მაშინვე მოვიძიე. იქ კი ეწერა, რომ... თურმე, არიელ შარონს უკიდურესად უარყოფითი როლი შეუსრულებია საბჭოეთის მეგობარ არაბულ სამყაროსთან ურთიერთობაში...

გაზეთი „პრავდა“ კი ერქვა, მაგრამ უმეტესად ტყუილი იწერებოდა მის ფურცლებზე!

ეს იყო საბჭოეთის პოზიცია, რამაც, ცხადია, ჩემს მონდომებას წერტილი დაუსვა...

---

2. ნათანიაჰუს ჩაშლილი ვიზიტი

ტურიზმის და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი, ქართველი და ებრაელი ხალხების ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის აღსანიშნავ ზეიმზე ისრაელის ტურიზმის მინისტრი და ქვეყნის პრემიერის მოადგილე მოშე კაცავი რომ ჩამოვიდა. ის ჩვენს ქვეყანას პირველად ეწვია და პრემიერ ბენიამინ ნათანიაჰუს ვიზიტიც უნდა მოემზადებინა. საკმაოდ დიდი დელეგაციით გვესტუმრა, რომელშიც ბევრი ცნობილი ქართველი ებრაელი იყო. მოშე კაცავმა ყველა მოგვხიბლა თავისი კეთილგანწყობით. სანამ ტურიზმის მინისტრი გახდებოდა, ის ჯერ მშენებლობის, მერე კი ტრანსპორტის მინისტრი იყო. ასე რომ, დამსახურებული და ღირსეული სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ!

სტუმარს სათანადო პატივი ვეცით, დავათვალიერებინეთ მცხეთა, ჯვარი, სვეტიცხოველი, დედათა მონასტერი, გორში სტალინის სახლ-



ისრაელის პრეზიდენტი, მოშე კაცავი და ომარ მარგველაშვილი

მუზეუმი... მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ, კობა ბუჩუკურმა, არაჩვეულებრივი ვახშამი გაგვიმართა.

მოულოდნელად დაცვამ მოშე კაცავი დარბაზიდან გაიყვანა. მალევე შემობრუნდა, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე და მე განზე გაგვიხმო და საიდუმლოდ გაგვანდო, რომ თურმე რუსეთის სპეცსამსახურებს გაუვრცელებიათ ინფორმაცია, თითქოს ნათანიაჰუზე თბილისში თავდასხმა მზადდებოდა. ეს წუთია პრემიერმა დამირეკა. შეწუხებულმა მითხრა, ვერ ჩამოვალ, მასპინძლებთან ბოდიში მომიხადე, ჩემი მაგივრობა კი შენ გასწიეო.

ზეიმმა ოპერისა და ბალეტის თეატრში მაღალ დონეზე ჩაიარა. ღონისძიებას შესანიშნავად გაუძღვა საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი. ზეიმით უზომოდ კმაყოფილი სტუმარი მეორე დღეს გავაცილეთ.

ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა კი ასეთი ავანტურისტული ქმედებით ჩაშალა ისრაელის პრემიერის ვიზიტი თბილისში...

მოშე კაცავი მალე ისრაელის პრეზიდენტი გახდა. ამ ღირსეულ და ზნეკეთილ პიროვნებას ვიღაც გომბიო ქალმა, სასტუმროს დამლაგებელმა სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი. მთელი მსოფლიოს მედიასაშუალებები ათასნაირ ჭორს ავრცელებდნენ. იგი იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა.

ხუთი ბრდასრული შვილის მამამ, მოშე კაცავმა, ისრაელის ციხეში მოიხადა სასჯელი!

ეს არის სამართალი?

ომარ მარგველაშვილი



ნოდარ დუმბაძის ფესტივალის შუქ-ჩრდილები

5-15 ივლისს უკვე მესამედ უმასპინძლა ოზურგეთმა ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვასო ჩიგოგიძის ინიციატივით დაარსდა 2016 წელს. ფესტივალის საზღვრები მალე გაფართოვდა და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გარდა, რომელიც არეალს ზღუდავდა, დაემატა ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაზე შექმნილი სპექტაკლებიც. თუ წინა ორ ფესტივალზე სპექტაკლების ჩვენება-დათვალიერება მიმდინარეობდა, ახლა ის საკონკურსო პრინციპით შეიცვალა. სულ მაყურებელმა თეატრის სამივე – დიდ, მცირე და ექსპერიმენტულ სცენაზე 23, დაგეგმილი 25-ის ნაცვლად, სპექატაკლი იხილა. აგრეთვე ჩატარდა ევრაზიის თეატრალური ასოციაციის (ETA) კონგრესი, რომელმაც საორგანიზაციო საკითხები განიხილა და ახალი პრეზიდენტი, ხერსონის (უკრაინა) დრამატული თეატრის ხელმძღვანელი ოლექსანდრ კნიგა აირჩია. მომავალ შეხვედრას ასოციაცია შემოდგომაზე გამართავს.

ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართული თანამედროვე და კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციას, შეიტანოს გარკვეული წვლილი პროზაული ნაწარმოებების (რომანი, მოთხრობა, ნოველა) ინსცენირების ტრადიციების განვითარებაში, ნოდარ დუმბაძის სახელის უკვდავყოფის გარდა, მხარი დაუჭიროს და გამოაცოცხლოს კულტურული ცხოვრება გურიის მხარეში; ხელი შეუწყოს ქართულ პროზაზე დაფუძნებული ინოვაციური დადგმების განვითარებასა და ქართული სათეატრო ხელოვნების პოპულარიზაციას არა მარტო გურიაში, საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა და ენათესავება ახალციხის, უკვე ტრადიციად ქცეულ, ქართული დრამატურგიის ფესტივალის მიზნებს იმ განსხვავებით, რომ ახალციხის ეროვნული დრამატურგიის ფესტივალის პრიორიტეტი ეროვნული დრამატურგიაა, აქ კი მხოლოდ პროზა და პრიორიტეტი ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების სცენურ ინტერპრეტაციებს ენიჭება.

ფესტივალში სტუმრის სტატუსით მონაწილეობდნენ ქართული დასები: რუსთაველის აკადემიური თეატრი სპექტაკლით „ვანო და ნიკო“ (რეჟ. **რობერტ სტურუა**), ვასო აბაშიძის ახალი თეატრი სპექტაკლით „გაყრა“ (რეჟ. **დავით დოიაშვილი**) და ოზურგეთის თეატრი სპექტაკლებით: „ცის-კარი“ (რეჟ. **ელენე მაცხონაშვილი**) და **„რესპუბლიკა გურია“** (რეჟ. **ნიკა სამაშვილი**). ფესტივალზე ვერ ჩამოვიდა ახმეტელის თეატრი სპექტაკლით „ჰელადოსს“ (რეჟ. **ირადა გოზალოვა**), რადგან დასს სწორედ იმ პერიოდში პრემიერის თამაში მოუწია.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა „თეთრი ტალღა“ წარმოადგინა რეზო გაბრიაძის პიესა „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი,“ რაც ასევე არ შეესაბამებოდა ფესტივალის მოთხოვნებს (მხოლოდ ინსცენირება უნდა ყოფილიყო) და გასაკვირია, რატომ ჩართეს ორგანიზატორებმა ეს დადგმა საკონკურსო პროგრამაში!

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ უცხოეთის დასებიდან უსახსრობის გამო ვერ ჩამოვიდა კაშკარინის (უზბეკეთი) თეატრი სპექტაკლით „ჰელადოს“ (რეჟ. **კახა გოგიძე**), რაც, ალბათ, წინასწარ უნდა გარკვეულიყო.

წლევანდელ ფესტივალზე ქართული პროგრამა უმეტესად ძველი სპექტაკლებით იყო წარმოდგენილი, მსგავს ტენდენციას სხვა ფესტივალებზეც ვხვდებით. ფესტივალის ორგანიზატორთა განმარტებით, პროგრამა ირჩევა ოზურგეთელი მაყურებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ანუ პროგრამაში ისეთი სპექტაკლები იყრის თავს, რომელიც ოზურგეთელ მაყურებელს ნანახი არ აქვს, მაგრამ პროფესიონალებისთვის, რომელნიც ფესტივალზე მიწვეულნი არიან, ნამეტნავად მოსაწყენიც ხდება ძველი სპექტაკლების ხელმეორედ ნახვა.

სამწუხაროდ, პროგრამაში ვერ მოხვდა რუსთავის თეატრში დადგმული ახალი სპექტაკლი „კუკარაჩა“, რომელიც საფესტივალო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. რუსთავის თეატრი ამ დადგმით ფესტივალზე მიწვეული იყო, მაგრამ თეატრმა ჩამოსვლა ვერ მოახერხა ფინანსების უქონლობის გამო.

როგორც გითხარით, ფესტივალის მიზნებს არ ემსახურებოდა ისეთი დასების მოწვევა, რომლებსაც ქართველ მწერალთა ნაწარმოებები არ დაუდგამთ. თუმცა წელს ეს მოთხოვნა მათთვის სავალდებულო არ გამხდარა, რადგან მასში ევრაზიის თეატრალური ასოციაციის (**ETA**) კონგრესის წევრი ქვეყნების თეატრები მონაწილეობდნენ და ფესტივალის საერთაშორისო სტატუსისთვის იყო საჭირო, თუმცა ფესტივალის უშუალო დანიშნულებას ახალი ვერაფერი შესძინა. ამ სტატუსით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე ლვოვის მარია ზანკოვეცკას სახელობის თეატრი სპექტაკლით **„ცხოვრება ჰ.ს.“**, რომელიც უკრაინის ომს ეხება; როკიშკისის (ლიეტუვა) სახალხო თეატრის სპექტაკლი **„ბავშვი“**, რომელიც ლიეტუველი მასწავლებლის ციმბირში გადასახლების ტრაგედიას ასახავს; მალთფეს მუნიციპალური თეატრი (თურქეთი) სპექტაკლით – თ. ორბეის **„კაცობრიობა, აქ არის შენთვის,“** რომელიც ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებს ეხება. ეს სპექტაკლები ევროპაში არსებული შეიარაღებული კონფლიქტების პრობლემებს ეხმიანება და შეგვახსენებს ძალადობის სავალალო შედეგებს. ფსიქოლოგიური დრამაა თეატრალური კომპანიის (პორტუგალია) სპექტაკლი **„ნიშანზე“** თ. ბერნჰარდის ნაწარმოების ოჯახური დრამის სიუჟეტით, აგრეთვე ამავე დასის მეირ დადგმული ავგუსტ სტრინდბერგის **„უძლიერესი.“**

კარგია ევროპული კოლექტივების მოწვევა, მაგრამ სასურველია სამომავლოდ უფრო ცნობილი თეატრები ჩამოვიდნენ, რომ ევროპაში მიმდინარე თეატრალურ პროცესებს უფრო სრულყოფილად გავეცნოთ, რაც წლეულს ვერ მოხერხდა და მხოლოდ საფესტივალო პროგრამა გადატვირთა.

ფესტივალის მოთხოვნის შესაბამისად, ნაჩვენები იყო არასაკონკურსო და სტუმრად მოწვეულ დასთა სპექტაკლები: აქტობეს რეგიონული თოჯინების თეატრის (ყაზახეთი) ნ. დუმბაძის **„ძაღლი“** (რეჟ. **ა. ზაიცევი**), აკმოლას რეგიონული რუსული თეატრის (ყაზახეთი) ნ. დუმბაძის მიხედვით **„ისწავლეთ ცხოვრება ღიმილით“** (რეჟ. **ო. ლუცივა**), ს. მრევლიშვილის თეატრის ეგ. ნინოშვილის **„პარტახი“** (რეჟ. **ს. მრევლიშვილი**), ზესტაფონის თეატრის ნ. დუმბაძის **„ნუ გააღვიძებ“** (რეჟ. **ე. მაცხონაშვილი**), აზერბაიჯანის თეატრის გ. ჩოხელის **„წერილები ნაძვებს“** (რეჟ. **ნ. გულახმადოვა**), ზუგდიდის თეატრის თ. მელაშვილის **„შაშვი, შაშვი, მაყვალი“** (რეჟ. **ნ. ჩიკვაიძე**), ცხინვალის თეატრის მ. ჯავახიშვილის **„ჯაყო** (რეჟ. **გ. კაპანაძე**), ბათუმის თეატრის ნ. დუმბაძის **„ჰელადოს“** (რეჟ. პ. **ჩარგეიშვილი**), მესხეთის თეატრის ნ. დუმბაძის **„მზიანი ღრამე“** (რეჟ. ლ. **სულუაშვილი**), თელავის თეატრის ი. ჭავჭავაძის **„კაცია-ადამიანი?!“** (რეჟ. **ლ. წულაძე**), ჩოხატაურის სახალხო თეატრის ნ. დუმაძის **„ხაზარულა“** (რეჟ. გ. ხვიჩია), ხელოვნების საყმაწვილო ცენტრ „არტ ჰოლი (“ ნ. დუმბაძის **„ჰელადოს“** (რეჟ. **გ. პიპინაშვილი**-ონლაინ ჩვენება). სულ 13 სპექტაკლი, აქედან 4 („პარტახი“, „ჯაყო“, **„კაცია-ადამიანი?!“**, ხელოვნების საყმაწვილო ცენტრ „არტ ჰოლი+“ **„ჰელადოს“**) სპექტაკლი ძველი რეპერტუარიდან გადმოვიდა!

სცენა თელავის თეატრის გამარჯვებული (გრან-პრი) სპექტაკლიდან „კაცია ადამიანი“?!

დაჯილდოების დროს...

საკონკურსოდ მხოლოდ ქართული თეატრის 9 სპექტაკლი დაუშვეს. სხვა ქვეყნების სპექტაკლების კონკურსში ჩართვა მომავალი ფესტივალიდანაა გათვალისწინებული, ვინაიდან წლევანდელი საერთაშორისო ჟიურის შემადგენლობა მხოლოდ თეატროლოგებისგან არ შედგებოდა და სათანადო გადახალისებას მოითხოვს.

ფესტივალის სარეპერტუარო განრიგში 26 სპექტაკლი იყო, რეალურად უჩვენეს 24 დადგმა, მონაწილეობდა საზღვარგარეთის 7 (მოწვეული 8-ის ნაცვლად) ქვეყნის 8 სპექტაკლი (9-ის ნაცვლად), ქართული თეატრის 14 დასი (მოწვეული 15-ის ნაცვლად).

აღსანიშნავია, რომ უცხოურ სპექტაკლებს სინქრონული თარგმანი ან ტიტრები არ ჰქონდა, რაც აძნელებდა შინაარსის აღქმას და საორგანიზაციო ჯგუფს ეს პრობლემა დროულად უნდა გაეთვალისწინებინა.

ტრადიციულად, 14 ივლისს, ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეს, ფესტივალის მონაწილენი სოფ. ხიდისთავის სახლმუზეუმს ეწვივნენ. საღამოს კი ჩოხატაურში კონკურსგარეშე უჩვენეს ადგილობრივი სახალხო თეატრის სპექტაკლი **„ხაზარულა“** (რეჟისორი **გოჩა ხვიჩია**). კულტურის სასახლის ფოიეში მოეწყო მცირე ფოტოგამოფენა. სპექტაკლის შემდეგ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა სახალხო თეატრის მსახიობებს სხვადასხვა დასახელების ჯილდოები გადასცა და „ამაგდარის“ წოდებები მიანიჭა.

ფესტივალი ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო სპექტაკლით „რესპუბლიკა გურია“ დაიხურა. მანამდე კი თეატრის მცირე სცენაზე მაყურებელმა რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის მიერ დადგმული საავტორო სპექტაკლი „ცის-კარი“ იხილა. სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს და მასში ოზურგეთის თეატრის მსახიობები მონაწილეობენ.

დახურვის ცერემონიაზე 6 ნომინაციაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს. მთავარი პრიზი „ნოდარ დუმბაძის პრემია“ გაიცა შემდეგ ნომინაციებში: 1. **საუკეთესო სცენოგრაფია** – ლომგულ მურუსიძე, ქეთევან ციციშვილი; სპექტაკლი **„ჯაყო“** (ცხინვალის თეატრი), 2. **საუკეთესო მსახიობი** – **მარინა დარასელია** ეთეროს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში – **„შაშვი, შაშვი, მაყვალი“** (ზუგდიდის თეატრი). 3. **საუკეთესო მსახიობი** – **რამაზ ხომასურიძე** ჯაყოს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „ჯაყო“, (ცხინვალის თეატრი). 4. **საუკეთესო რეჟისორი** – **ელენე მაცხონაშვილი,** სპექტაკლი **„ნუ გააღვიძებ“** (ზესტაფონის თეატრი), 5. **ქართული მწერლობის საუკეთესო სცენური ინტერპრეტაცია – „შაშვი, შაშვი, მაყვალი“** (ზუგდიდის თეატრი), 6. **საუკეთესო სპექტაკლი** (გრან-პრი – „სმარტ კაპიტალ ჯგუფის,“ ფონდ „ქართული გალობის“ პრემია 10. 000 ლარი) – **„კაცია – ადამიანი“?!,** თელავის თეატრი.

ცალკე პრემია ქართული თეატრის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (5.000 ლარი) რეჟისორი **რობერტ სტურუა ფირმა „ასკანელმა“ დაჯილდოვა.** მასვე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა **სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართული თეატრის დესპანის წოდება მიანიჭა** საზღვარგარეთ ქართული თეატრის წარმატებულად წარმოჩენისთვის, ხოლო თბილისის ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელს **დიმიტრი ხვთისიაშვილს** დიდი რეჟისორის – **სანდრო ახმეტელის პრემია გადასცა.**

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა მონაწილე უცხოურ დასებსაც არ დასწყვიტა გული და ნოდარ დუმბაძის პრიზით სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვა: 1. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების ორიგინალური ინტერპრეტაციისთვის – **აქტობეს თოჯინების თეატრი** (ყაზახეთი). 2. ნომინაცია საუკეთესო ანსამბლი – **ბრაგის თეატრალური კომპანია** (პორტუგალია), **ლვოვის თეატრი** (უკრაინა), 3. საუკეთესო სამსახიობო ანსამბლისთვის – **აკმოლას თეატრი** (ყაზახეთი), 4. ნომინაცია ფესტივალის ორიგინალური სპექტაკლი **როკიშკისის დრამატული თეატრი** (ლიეტუვა), 5. ნომინაცია ორიგინალური წარმოდგენა – **მალთეფეს მუნიციპალური თეატრი** (თურქეთი).

ფესტივალი პროფესიულად ისე იყო ორგანიზებული, რომ საკმაოდ დატვირთული პროგრამა სამ სცენაზე შესანიშნავად გადანაწილდა, ტექნიკური პრობლემები არც შექმნილა. გაწეული მაღალმიუჯეტიანი ხარჯი უზრუნველყოფ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, გურიის მხარის ადმინისტრაციამ, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მერიებმა, ფონდმა „ქართულმა გალობამ,“ „სმარტ კაპიტალ ჯგუფმა,“ ფირმებმა: „ასკანელმა,“ „ნაბეღლავმა,“ „გურიელმა,“ „საქართველოს ბანკმა,“ ასევე სასტუმროების ქსელმა, მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა და მასმედიამ. მსგავსი მხარდაჭერა ფესტივალს ადრეც ჰქონდა, მაგრამ წელს უფრო მასშტაბური გახლდათ.

ფესტივალმა დაგვანახა, რომ ქართული თეატრის განვითარებისთვის მსგავსი დათვალიერების ჩატარება მეტად მნიშვნელოვანია, რაც თეატრებს სტიმულს გაუზრდის ეროვნული ნაწარმოებების დასადგმელად.

სამომავლოდ მევრად უკეთესი იქნება, საკონკურსო სპექტაკლები უფრო მკაცრად შეირჩეს მოლო 2 სეზონის განმავლობაში დადგმული სპექტაკლებიდან. რაც მთავარია, ეს სპექტაკლები სხვა ფესტივალში არ უნდა მონაწილეობდნენ. მით უმეტეს, როდესაც ფესტივალის მიზანი მიღწევათა ჩვენებაა და არა რეტროსპექტული დათვალიერება.

გუბაზ მეგრელიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

„ვეშაპებზე“ ნადირობა აფხაზეთში

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები ხდება.

ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო აგარაკების რუსეთისათვის გადაცემისა და კორუფციული საქმეების გამჟღავნების გამო აგორებული საპროტესტო განწყობების ფონზე თანამდებობა დატოვა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, გავლენიანი პოლიტიკური პარტიის, „ამცახარას“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ალხას კვიცინიამ, რომელმაც მოქმედ პრემიერ-მინისტრთან, ალექსანდრე ანქვაბთან და ე.წ. დონბასის სახალხო რესპუბლიკის მხარეს მებრძოლ ახრა ავიძბასთან ერთად, გადამწყვეტი როლი ითამაშა 2020 წლის მოვლენებსა და, შესაბამისად, ასლან ბჟანიას გაპრეზიდენტებაში.

აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს იქ ახლახან რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის მინისტრის, მაქსიმ რეშეტნიკოვის სტუმრობა.

ალხას კვიცინიამ თანამდებობის დატოვების შემდეგ საზოგადოებას წერილით მიმართა:

„ძვირფასო თანამემამულენო! ამ გუნდში ყოფნის პირველივე დღიდან გულწრფელად მჯეროდა, რომ ვიზრუნებდით უბრალო ადამიანებზე, ჩვენს მოქალაქეებზე, რომლებმაც ირწმუნეს ჩვენი. აღსანიშნავია, რომ არჩევნების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ქვეყნისთვის.

თუმცა, მთელი ამ ხნის განმავლობაში საპირისპიროც ბევრი დავინახე. უნდა ითქვას, რომ ამ ფონზე, მე ასევე ვუყურებდი ლიდერთა ნაწილის კმაყოფილ სახეებს, რომლებიც სწრაფად მდიდრდებოდნენ. მივხვდი, რომ ხალხის ნდობა ჩვენ მიმართ ნელ-ნელა მცირდებოდა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, არ შემეძლო ამ გარემოებებზე ზემოქმედების მოხდენა“.

შემდეგ ალხას კვიცინია ლაპარაკობს იმაზე, რომ ასლან ბჟანიამ მას სხვა თანამდებობაზე გადასვლა შესთავაზა იმის გამო, რომ თითქოსდა არსებულ თანამდებობაზე ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. კვიცინია ამბობს, რომ შეთავაზება არ მიიღო:

„თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსზე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ გავართვი თავი, მაშინ, ლოგიკურია, რომ სხვა მიმართულებითაც ვერ ვივარგებ. ეს არის ჩემი უარის მიზეზი. მადლობელი ვარ ყველასი, ვისაც სჯეროდა ჩვენი, ვისაც ცვლილებებს დავპირდით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ცვლილებები მოხდება, თუმცა ეს უკვე სულ სხვა ამბავია“.

ალხას კვიცინიასგან „ცვლილებების დაპირება“ გარკვეულ მოგონებებს აღძრავს ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულ ადამიანებში, რომლებსაც ახსოვთ 2019-2020 წლებში დე ფაქტო რესპუბლიკაში განვითარებული, სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი მოვლენები.

ალხას კვიცინიას გადადგომის მნიშვნელობაზე მეტყველებს გავლენიანი პოლიტიკური პარტიის „ამცახარას“ პრეზიდიუმის ნაჩქარევი შეკრება და განცხადების გავრცელება:

„ალხას კვიცინია — ომის ვეტერანი და ჩვენი თანაპარტიელი, იდგა 1992-93 წლებში აფხაზეთის ხალხის სამამულო ომის ვეტერანთა კავშირის, „ამცახარას“ შექმნის სათავეებთან და მას არასოდეს უღალატია თავისი პრინციპებისათვის. „ამცახარელები“, ისევე როგორც ქვეყნის ხელმძღვანელობა, გრძნობენ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდება“, — ნათქვამია განცხადებაში, რომლის მიხედვითაც „ამცახარა“ რჩება არსებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხარდამჭერად, თუმცა აპირებს გარკვეული საკითხები წერილობით დააყენოს ხელისუფლების წინაშე და, საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს მის უმაღლეს წარმომადგენლებს.

კვიცინია, ავიძბა, ანქვაბი

„შემთხვევითი პრეზიდენტი“, — ასე უწოდებს ასლან ბჟანიას მისი ყოფილი მრჩეველი და ამჟამად ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში, სეპარატისტების მხარეს მებრძოლი ახრა ავიძბა, რომელმაც ფაქტობრივად იერიშით აიღო დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა 2020 წელს.

როგორც აფხაზი პოლიტოლოგი იზიდა ჭანია ამბობს, 2020 წლის „გადატრიალებას“ სამი ძირითადი შემოქმედი ჰყავდა, შესაბამისად, ასლან ბჟანიას ხელისუფლებაც, გარკვეულ დრომდე, სამ ვეშაპზე იდგა.

ერთ-ერთი უდავოდ იყო ალხას კვიცინია, „ამცახარას“ მაშინდელი ხელმძღვანელი, რომელიც 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ჯანმრთელობაშერყეულ ბჟანიას (არსებობდა ეჭვი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი მოწამლეს) დუბლიორის როლს ასრულებდა. სწორედ მან წამოიწყო გაჭიანურებული სასამართლო პროცესი მაშინდელი დე ფაქტო პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას წინააღმდეგ, რითაც შეძლო დროის მოგება ბჟანიას აფხაზეთში დაბრუნებისთვის: ვიდრე კვიცინია და „ამცახარა“ რაულ ხაჯიმბას სასამართლოში ურჩევდნენ საქმეს, ბჟანიამ მოასწრო მიუნხენში მკურნალობა და გამოჯანმრთელება. ამის შემდეგ ინიციატივა ხელში აიღო ახრა ავიძბამ, რომელიც პირდაპირ სასამართლოდან გაეშურა პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ, მომხრეებთან ერთად შევარდა შენობაში და გადადგომა აიძულა მაშინდელ დე ფაქტო პრეზიდენტს, რაულ ხაჯიმბას. სწორედ ახრა ავიძბამ შექმნა სივრცე ბჟანიასათვის პრაქტიკულად უალტერნატივო არჩევნების ჩასატარებლად.

ალხას კვიცინია პრეზიდენტის ადმინისტრაციას 2020 წლის 24 აპრილიდან ხელმძღვანელობდა.

გადატრიალების მესამე შემოქმედი ალექსანდრე ანქვაბია, რომელმაც 2019 წელს დროულად მიუსწრო ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს და შესთავაზა ბჟანიას თავისი ელექტორატი.

ბჟანიასთვის ეს სამი ფიგურა, გაზვიადების გარეშე, საყრდენი ბოძები იყვნენ, სწორედ მათი დამსახურებით მოიპოვა პრეზიდენტის სავარძელი.

„ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალს „ვეშაპებზე“ ნადირობას“, — ამბობს იზიდა ჭანია.

2020 წლის არჩევნების შემდეგ ყველა მათგანმა მიიღო თანამდებობა: ალხას კვიცინია გახდა „პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი“, ახრა ავიძბა — „პრეზიდენტის მრჩეველი“, ხოლო „პრემიერ-მინისტრობა“ ალექსანდრე ანქვაბს ერგო. ანქვაბმა თავისი თანამდებობა წინასწარ შეათანხმა და საჯაროდაც გამოაცხადა ამის შესახებ. ახრა ავიძბამ და ალხას კვიცინიამ კი, როგორც ჩანს, ვერ მიიღეს ის, რასაც ელოდნენ.

ბჟანიას გუნდში ყველაზე სუსტი რგოლი ახრა ავიძბა იყო. ის პირველი ამოვარდა დე ფაქტო პრეზიდენტის წრიდან. ავიძბამ შექმნა მოძრაობა „ახალი ხალხი“ და დაიწყო ბჟანიასა და მისი გარემოცვის მწვავედ გაკრიტიკება, რის გამოც, მეგობრებთან ერთად, მალე აღმოჩნდა ციხეში „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის“.

ეს ბრალდება მოგვიანებით „იარაღის უკანონო შენახვით“ შეიცვალა. საბოლოო ჯამში, ახრა ავიძბამ პირობითი სასჯელი მიიღო, შემდეგ კი გაემგზავრა უკრაინაში, სეპარატისტულ და ოკუპირებულ დონბასში, საიდანაც პერიოდულად სამშობლოში დაბრუნებით ემუქრება ასლან ბჟანიას — მისი სიტყვებით, „შემთხვევით პრეზიდენტს“.

ასლან ბჟანიას გაპრეზიდენტებიდან 2,5 წლის შემდეგ ხელისუფლებიდან წავიდა ალხას კვიცინიაც, რომლის სამომავლო გეგმები ჯერჯერობით უცნობია: დაბრუნდება თუ არა „ამცახარაში“, იმ პარტიაში, რომელმაც მოაწყო საპროტესტო აქციები ბჟანიასთვის, გადაკეტა გზები, ჩამოაგდო დე ფაქტო რესპუბლიკის შს მინისტრი, მოაწყო რეფერენდუმი პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასადმი უნდობლობის გამოსაცხადებლად და, ბოლოს, მხარი დაუჭირა ფაქტობრივ გადატრიალებას.

პარტიაში კვიცინიას დაბრუნების შემთხვევაში „ამცახარა“ ვეღარ იქნება პროსახელისუფლებო ორგანიზაცია.

ყველაზე დიდი ვეშაპი

მესამე, ყველაზე დიდი „ვეშაპი“, დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, ყველაზე მყარად ზის სავარძელში, თუმცა, როგორც აფხაზი მიმომხილველები შენიშნავენ, რომ შეეძლოს, ასლან ბჟანია პირველ რიგში სწორედ მისგან გათავისუფლდებოდა. ბჟანიამ არაერთხელ სცადა ანქვაბის ჩამოცილება ოპოზიციის მიქსევით, თუმცა არაფერი გამოუვიდა პირველ რიგში იმის გამო, რომ ანქვაბი აკონტროლებს საპარლამენტო უმრავლესობას, და მეორე — ანქვაბის, როგორც პრემიერ-მინისტრის ხელშია თითქმის ყველა ეკონომიკური ბერკეტი და, შესაბამისად, საკითხავია, რეალურად ვინ იღებს დე ფაქტო რესპუბლიკაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს — პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი?!

აფხაზი პოლიტოლოგი, თენგიზ ჯოპუა ალხას კვიცინიას თანამდებობიდან წასვლას სწორედაც რომ „ამცახარასა“ და ალექსანდრე ანქვაბს შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირებს.

„ხელისუფლებაში დიდი ხანია არსებობდა კონფლიქტი პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბისა და „ამცახარას“ ჯგუფებს შორის, — ამბობს თენგიზ ჯოპუა, — **ეს დაპირისპირება დაიწყო ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან, რაც აისახა კიდეც თანამდებობების გადანაწილებაში. მთელი ეკონომიკური და ფინანსური ბლოკი ალექსანდრე ანქვაბისა და მისი გუნდის ხელში აღმოჩნდა, „ამცახარა“ კი ბორტს მიღმა დარჩა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა პარტიაში. ანქვაბი აკეთებს იმას, რასაც ყოველთვის აკეთებდა. ნელ-ნელა ახდენს ძალაუფლების უზურპაციას, რეალურად თავის კონტროლის ქვეშ იღებს სახელმწიფო საქმიანობის სულ უფრო მეტ სფეროს. ბრძოლა ანქვაბსა და „ამცახარას“ შორის რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. „ამცახარას“ ჰქონდა იმედი, რომ თავიდან მოიშორებდა პრემიერს, მაგრამ ვერ შეძლო მისი გადაყენება, მათ შორის, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების დროსაც. სხვათა შორის, პრეზიდენტი ბჟანია ბიჭვინთის აგარაკებთან დაკავშირებით ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საზოგადოებამ მკაფიოდ უთხრა მას, რომ არ ეთანხმება რუსეთზე გასხვისების გადაწყვეტილებას. სწორედ აქ დასჭირდა ბჟანიას ძალიან დიდი ჯგუფის მხარდაჭერა, ყველაზე დიდი კი ანქვაბის ჯგუფია და ანქვაბმაც მას ეს მხარდაჭერა დროულად გაუწია. კრიტიკულ მომენტში ანქვაბი პრეზიდენტის მხარეს დადგა. მასთან ერთად დაიწყო გუდაუთაში ჩასვლა და ბიჭვინთის აგარაკებზე განცხადებების კეთება, რაც მანამდე არ გაუკეთებია. ამგვარი სიტუაციის წყალობით ანქვაბმა თანამდებობაც შეინარჩუნა და, მეტიც, პოზიციებიც გაიმყარა. ალხას კვიცინიასა და „ამცახარას“ ჯგუფს, ცხადია, ეს არ მოეწონათ“.**

თენგიზ ჯოპუა ვარაუდობს, რომ კვიცინიას გაუჭირდება ძლიერი ოპოზიციური ფრონტის შექმნა, თუნდაც იმის გამო, რომ „ამცახარაში“ არ არის ერთსულოვნება ოპოზიციაში გადასვლასთან დაკავშირებით. ჯოპუას თქმით, კვიცინიასა და „ამცახარას“ დისტანცირების შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასლან ბჟანიამ პოლიტიკური მომავალი მოისპო.

ასლან ბჟანია აქამდეც სულ ცდილობდა რუსეთის ხელისუფლებასთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებასა და დემონსტრირებას. როგორც ამბობენ, ბჟანია რეკორდსმენია აფხაზ ლიდერებს შორის მოსკოვში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობითა და რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრების რიცხვით. ბიჭვინთის სამთავრობო აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის მოწინააღმდეგეებსაც ბჟანია რუსეთის განსაკუთრებულ როლს შეახსენებს.

„ხელებს არავის ვუგრეხ... მაგრამ მინდა შევახსენო ყველა მოქალაქეს, ყველა პასუხისმგებელ ადამიანს: რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჰყავს სამხედრო დაჯგუფება ექვსი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურით. სამხედრო ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ ეს რაოდენობაა აუცილებელი აფხაზეთის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ხელშეკრულებაში მიწაზე საუბარი არ არის, საუბარია ამ ტერიტორიაზე მდებარე შენობებსა და ნაგებობებზე, რომლებიც საჭიროებენ ნაწილობრივ და კაპიტალურ შეკეთებას. ხელშეკრულების ხელმოწერილ ვერსიაში წერია: „მხოლოდ დაცული პირების დასვენების უზრუნველსაყოფად“, რაც გამორიცხავს ობიექტის სხვაგვარად გამოყენებას“, — ეს განცხადება ასლან ბჟანიამ 17 აგვისტოს გააკეთა აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრებთან შეხვედრის დროს.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ბოროტების იმპერიის ლპობის ქრონიკები

სსრკ-ის დაუძინებელი მტერი - ჯინსი

კომუნისტური ეპოქა ჯინსის შარვალს უფრთხოდა, ეშინოდა მისი და ისევე კრძალავდა, როგორც დისიდენტურ ლიტერატურას. 1957 წლის აგვისტოში, ე.წ. დათბობის პერიოდში, მოსკოვში ახალგაზრდული ფესტივალი გაიმართა. მაშინ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ასზე მეტი ქვეყნიდან ათასობით უცხოელი ახალგაზრდა ჩავიდა. მათ თან ჩაიტანეს დასავლური ყოფა, მათ შორის ჯინსიც აქედან დაიწყო ჯინსების პოპულარობა საბჭოთა კავშირში.

ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რომ მიუხედავად რკინის ფარდისა, ჯინსი მაინც აღწევდა საბჭოთა კავშირში და მისი ჩაცმა პროტესტის შორმადაც კი აღიქმებოდა.

რას ერჩოდა საბჭოთა კავშირი ჯინსს?

„ეს არის ცივი ომის პერიოდი, დაპირისპირება კომუნისტურ სამყაროსა და დასავლეთს შორის. მოწინააღმდეგე მხარის სიმბოლოებს დასცინოდნენ, „საფრთხობელად“ იყენებდნენ. ასეთი იყო: კოკა-კოლა, ჯაზი, როკი, ჯინსი..., **– ამბობს ირაკლი ხვადაგიანი, საბჭოთა კავშირის შემსწავლელი ლაბორატორიის წარმომადგენელი,** – როდესაც მოპირისპირე განაკში ჯინსი არის ახალგაზრდული ცხოვრების სიმბოლო, საბჭოთა კავშირისთვის ეს ხდება სიმბოლო, რომლითაც საკუთარი მოქალაქეები უნდა შეაშინოს ან მიზიდულობის ძალა გაუნეიტრალოს. ამისთვის, (ჯინსს) ერთი მხრივ, მაქსიმალურად აშარჟებენ და, მეორე მხრივ, ცდილობენ, მოსახლეობამდე არ მიაღწიოს“.

საბჭოთა თაობას კარგად ახსოვს პოპულარული მულტფილმი ნუ პოგოდი! („აბა, დამაცადე“). ის ძალიან ჰგავს დისნეის „ტომი და ჯერის“. ერთში კურდღელი და მეორეში თაგვი დაუსრულებლად ცდილობენ მტერს ხელიდან გაუსხლტნენ. თუმცა, თუკი „ტომი და ჯერიში“ თაგვი მხოლოდ თაგვია და კატაც მხოლოდ კატა, საბჭოთა მულტფილმში საქმე უფრო რთულადაა. ტომისა და ჯერისგან განსხვავებით, აქ პერსონაჟებს ტანსაცმელი აცვიათ. კურდღელი პიონერივით შორტსა და მაისურშია გამოწყობილი, მგელი კი გაღეღილ, ამოჩაჩულ პერანგსა და სლაქსებში, რომელიც მართალია შავია, მაგრამ ძალიან ჰგავს ჯინსს. კურდღელი პიონერის დოლზე უკრავს, მგელი ელექტროგიტარაზე და თან პაპიროსს აბოლებს.

„ხულიგანი“ მგელი აშკარად დასავლეთის სიმბოლოა, წესიერი ყურცქვიტა კი – საბჭოთა მოქალაქის. რა თქმა უნდა, მულტფილმის ყველა სერიაში გამარჯვებული კურდღელი გამოდის. „ახალგაზრდებისთვის ის თავისუფალი ცხოვრების სიმბოლო იყო, საბჭოთა კავშირისთვის კი „გარყვნილი“, „ვერაგი“, „მტრული“ კაპიტალისტური სამყაროს ნაწილი“, – ამბობს ირაკლი ხვადაგიანი. ჯინსების შოვნა რთული იყო, მაგრამ შოულობდნენ, ვინც საზღვარგარეთ მოხვდებოდა, ჩამოჰქონდა, ვინც არა – „სპეკულანტებთან“ დახლს ქვემოთ მოვაჭრეებთან ყიდულობდა. ჯინსი 100-200 მანეთი ღირდა, რაც მაშინ, უმრავლესობისთვის სულ მცირე ორი თვის ხელფასი იყო.

როკოტოვის და ფაიბიშენკოს დახვრეტის საქმე

1953 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის ადგილი დაიკავა და ცოტა ხანში „პიროვნების კულტი“ დაგმო. მავზოლეუმში დაკრძალული სტალინი უკან გამოასვენეს. ტოტალიტარულ სისტემას თითქოს წყალი შეუდგა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ცოტა ხანში ხრუშჩოვმა ყველაფრის უკან საბჭოთა კალაპოტში დაბრუნება დაიწყო და გადამყიდველების წინააღმდეგ ბრძოლაც გამოაცხადა.

1961 წლის შემოდგომაზე უკანონო სავალუტო ოპერაციებისთვის იან როკოტოვი და ვლადისლავ ფაიბიშენკო დაიკავეს. ისევე როგორც ყველაფერი დასავლური, საბჭოთა კავშირში დოლარიც დახლქვეშ იყიდებოდა.

როკოტოვი და ფაიბიშენკო კაპიტალისტურ სამყაროში ალბათ დიდი ბიზნესმენები გახდებოდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირში მათი ნიჭი სხვაგვარად გამოვლინდა, ისინი ვალუტის შავ ბაზარს „განაგებდნენ“, დოლარებს, მარკებს და სხვა ვალუტას მანეთებზე ცვლიდნენ, ვაჭრობდნენ ოქროთი. თუმცა, სანამ მსხვილ ოპერაციებზე გადავიდოდნენ, უცხოური ტანსაცმლის, მათ შორის, ჯინსების და ფირფიტების ვაჭრობით დაიწყეს.

მაშინ სავალუტო ოპერაციებისთვის მაქსიმალური სასჯელი 8 წელი იყო, თებერვალში ის 15 წლამდე გაიზარდა და ბრალდებულებსაც სწორედ 15 შეუფარდეს.

ამავე წლის 1 ივლისს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ვალუტასთან დაკავშირებულ დანაშაულზე სწორი იქნებოდა, სასჯელის მაქსიმალური ზომა სიკვდილით დასჯა ყოფილიყო. იმავე დღეს მიიღეს საიდუმლო დადგენილება 155/2, რომელითაც დასჯის უმკაცრესი ზომა უკანა რიცხვით როკოტოვსა და ფაიბიშენკოს მიუსადაგეს. თუმცა ისინი რომ დაეხვრიტათ, ჯერ მოსკოვის სასამართლოს დადგენილება უნდა გაეუქმებინათ და დაკავებულები ხელმეორედ გაესამართლებინათ. სსრკ-ის პროკურატურამ როკოტოვი და ფაიბიშენკო ხელმეორედ გაასამართლა. 1961 წლის 18 ივლისს მათ დახვრეტა მიესაჯათ. დახვრიტეს კიდეც ერთი კვირის შემდეგ.

როკოტოვისა და ფაიბიშენკოს საქმე იურისპრუდენციის ისტორიაში დღემდე უკანონობის მაგალითად რჩება. ეს იყო შემთხვევა, როდესაც ბრალდებულებს განაჩენი გამოუტანეს რეტროაქტიურად, ანუ არა იმ სასჯელის მიხედვით, რომელიც დაკავებისას იყო კანონმდებლობით განსაზღვრული, არამედ – რომელიც შემდეგ მიიღეს. უკვე ოცდამეერთე საუკუნეში ამ ისტორიით შთაგონებულმა, ნიუ-იორკში მცხოვრებმა რეჟისორმა ვიტალი ალიზიერმა გადაწყვიტა დაეარსებინა ჯინსების მწარმოებელი კომპანია **Rokotov&Fainberg**. ამ ბრენდის ჯინსების იარლიყზე ორი ტყვიაა გამოსახული.

სად იშოვებოდა ჯინსი და ყველაფერი „აკრძალული“?

ნინელი (სახელი შეცვლილია) ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ბედმა გაუღიმა და რკინის ფარდის ეპოქაში საზღვარგარეთ მოხვდა. მართალია, ბერლინის კედლის აქეთ მხარეს – გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ მაინც საბჭოთა კავშირის ფარგლებს მიღმა. 1988 წელი იდგა.

„უნივერსიტეტიდან მასწავლებლები და ლექტორები მიჰყავდათ „გედეონში“, იქაური გამოცდილების გასაზიარებლად, ჩაწყობით, რა თქმა უნდა. ფრანგული სუნამო ვაჩუქე, მაშინ არ იშოვებოდა“. ჯგუფის წევრებმა წასვლამდე თადარიგი დაიჭირეს. იქიდან თუნდაც ოჯახის წევრებისთვის რომ რამე ჩამოეტანათ, ფული სჭირდებოდათ. საბჭოთა კავშირიდან ფულის გატანა კი არ იყო იოლი საქმე.

„სამხრეეზიანი კოსტიუმი შევაკერინე და ამ სამხრეებში შევტენე ათმანეთიანები. მერე მატროშკები, დოქები, რაღაც სუვენირები ვიყიდე, ელექტროობა. იქ ჩვენზე უკეთესი ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი უფრო იაფი იყო და კარგად იყიდებოდა. თუ რამე გეკეთა ოქროსი, დეკლარაციაში უნდა აგესახა, მაგრამ შეიძლება გაგეყიდა და მერე უკანა გზაზე ჩვეულებრივი მიუუტერია გაგეკეთებინა. უკვე იქ ჩასულები სასტუმროში მაგიდაზე ვტოვებდით ნივთებს და ზედ ფასს ვაწერდით. დამლაგებელი ეტყოდა, თუ ვინმე იყო მსურველი და უკან დაბრუნებულებს უკვე ფული დაგვხვდებოდა ხოლმე“.

ჯგუფი გერმანიის ხუთ ქალაქში ჩაიყვანეს. მაშინ მივხვდით პირველად, ჩვენზე ბევრად უკეთ რომ ცხოვრობდნენო, იხსენებს ნინელი.

„მე მხოლოდ ახლობლებისთვის ვიყიდე რაღაცები, კარგი ფეხსაცმელი, კარგი ტანსაცმელი. ჩვენთან არაფერი არ იშოვებოდა. უზარმაზარ რიგში ჩადგებოდი და მერე რაც დაგხვდებოდა, ის უნდა აგეღო. ან მოსკოვში, ოდესაში, ან გემებზე ტურისტებისგან უნდა გეყიდა. ჯინსებსაც გემზე, ტურისტებისგან ვყიდულობდით. ერთხელ ორი შარვალ-კოსტიუმი ვიყიდე მოსკოვში და მილიციამ შემამოწმა, დამაგეზღეს, ძვირიანს ყიდულობსო. კიდევ საწყობიდან გამოტანაც შეიძლებოდა, ნაცნობი თუ გყავდა“.

„ჯინსების თაობა“

გარდა დასავლეთისა და პროტესტისა, კიდევ რისი სიმბოლო იყო ჯინსი, სოციალური კუთვნილების? ან იქნებ, რამე უპირატესობის? რადიო თავისუფლებას მწერალი დათო ტურაშვილი ესაუბრა. 2008 წელს მან გამოსცა წიგნი „ჯინსების თაობა“, რომელიც მაშინვე ბესტსელერი გახდა და დღემდე განმეორებით იბეჭდება.

დათო ტურაშვილი: „ჯინსების თაობა“ იმ თაობის ისტორიაც არის, ვისთვისაც ჯინსი იყო იმ ყველაფრის სიმბოლო, რაც საბჭოთა ადამიანს ყოველთვის აკლდა. ამიტომაც, ალბათ, ძნელია ცალსახად იმის თქმა, რომ ჯინსი იყო სოციალური კუთვნილების ან უპირატესობის განმსაზღვრელი, რადგან ჯინსების მოპოვება ერთნაირად ძნელი იყო სოციალურად განსხვავებული ადამიანებისთვის.

დათო ტურაშვილი: სხვათა შორის, პირველი ქართველი, ვინც საბჭოთა პერიოდში ჯინსები ჩაიცვა, იყო ზესტაფონელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც 1953 წელს სტალინის დაკრძალვაზე წავიდა მოსკოვში და იქიდან კი ნამდვილი ჯინსები ჩამოიტანა...

– სად შოულობდნენ ჯინსებს?

– ჯინსების შოვნის რთული და ძვირი, მაგრამ რამდენიმე გზა, მაინც არსებობდა საბჭოთა საქართველოში და უპირველესად ეს იყო ებრაელებით დასახლებული რამდენიმე მისამართი. მაგალითად, სურამში ფილოსოფოს ვაჟა დურმიშიძეს სკოლის დამთავრების აღსანიშნავად, მშობლებმა უყიდეს არა მხოლოდ ნამდვილი ამერიკული ჯინსები, არამედ ეგრეთ წოდებული ვილვეტის ტროიკაც.

მაშინ ქართველები ვაჭრობას ერიდებოდნენ, ამიტომაც ნანატრი ჯინსები ჰქონდათ (არცთუ იაფად) იმ პოლონელებს, ვისაც უშვებდნენ ხოლმე საბჭოთა საქართველოში როგორც ტურისტებს და ბოლოს კი ისინიც ჯინსებს ამოიღებდნენ ხოლმე გასაყიდად სხვა დეფიციტურ ნივთებთან ერთად. ჯინსების შოვნის მეტი შანსი ჰქონდათ სოხუმში, ფოთსა და ბათუმში. საპორტო ქალაქებს მომდგარი უცხოური გემების მეზღვაურებმა იცოდნენ, რა უნდოდათ საბჭოთა ქართველებს. ჯინსები ჩამოჰქონდათ გასტროლებიდან და სპორტული შეჯიბრებიდან დაბრუნებულ არტისტებსა და სპორტსმენებსაც.

- თუ გახსენდებათ რამე ისტორია ჯინსებთან დაკავშირებით?

- ბევრი ისტორია მახსოვს ბავშვობიდან, მაგრამ შემიძლია პირველი გავიხსენო, როცა ბებიაჩემს ვკითხე - სად იყიდება ნამდვილი ამერიკული ჯინსები-მეთქი და ლვოვის „ტალკუჩკაზეო“, მითხრა. იმ დღეს რუკაზე მოვძებნე ლვოვი და ისე შორს აღმოჩნდა თბილისიდან, რომ ბებიაჩემის შავმა იუმორმა გული დამწყვიტა. მერე, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა იქ აკა მორჩილაძესთან ერთად მოვხვდი, ის „ტალკუჩკა“ მართლა მოვძებნეთ ლვოვში და ჯინსებიც დიდხანს ვათვალიერეთ, მაგრამ ყიდვით მხოლოდ მაისურები ვიყიდეთ ტარას შევჩენკოს ლეგენდარული ფრაზებით. რაც შეეხება ჩემი ბავშვობის პირველ ჯინსებს, მამაჩემმა რომ ჩამომიტანა, სიხარულისგან მართლა მინდოდა იმ ჯინსებით დაძინება და კიდევ კარგი, ზამთარი იყო.

სხვათა შორის, პირველი ქართველი, ვინც საბჭოთა პერიოდში ჯინსები ჩაიცვა, იყო ზესტაფონელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც 1953 წელს სტალინის დაკრძალვაზე წავიდა მოსკოვში და იქიდან კი ნამდვილი ჯინსები ჩამოიტანა...

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

◎ ტრიუმფი

ბუდოკანშიც გვასახელა

მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის (WCKF) ორგანიზებით იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ სპორტის ამ სახეობაში XV მსოფლიოს ჩემპიონატს (მთავარი მსაჯი მსოფლიოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი, IX დანის მფლობელი, მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონი შიხან ჰიტოში კასუია) უმასპინძლა.

ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრების წევრებმა - 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. შავი ქამრის V დანის მფლობელმა, საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსმა ინსტრუქტორმა, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა **ჭაბუკა მახარაძემ** უფროსებს შორის ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში პირველი ადგილები დაიკავა და საქართველოს დელეგაციას 2 ოქროს მედალი მოუტანა.

საგულისხმოა, რომ ქართველმა კარატისტმა კარიერაში მსოფლიოში უძლიერესის ტიტული მეოთხედ მოიპოვა. 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინდივიდუალურ კატაში დამსახურებული ვერცხლი ამჟამად ოქროზე გადაცვალა: სამი წრე გაიარა დაუბრკოლებლად — სტარტზე **სანჩეს მორალესი** (მექსიკა) დაამარცხა, შემდეგ **იამა და ტაროს** (იაპონია) აჯობა. ფინალში 4 სპორტსმენი გავიდა. იქ გამართული შეხვედრების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჭაბუკა მახარაძე (საქართველო), 2. **ტორუ იკუშიმა,** 3. **შინ დენი** (ორივე — იაპონია).

კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში მახარაძემ ჯერ **ალექსანდერ მონუს** (მექსიკა) მოუგო — 2:0, მეორე წრეში **ტორუ იკუშიმა** (იაპონია) დაჯაბნა — 2:0, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში **იუსუკე ტაკაგის** (იაპონია) სძლია — 2:1.

თანაგუნდელს ღირსეულად აუბა მხარი **ნოდარ ხაჩიშვილმა,** რომელმაც ვეტერანთა შორის ინდივიდუალურ კუმიტეში ოქროს მედალი აიღო, ინდივიდუალურ კატაში კი ვერცხლს დასჯერდა.

ჭაბუკა მახარაძემ შოტოკან კარატეში ვარჯიში 1990 წელს დაიწყო **ზურაბ ლეჟავას** ხელმძღვანელობით. მნიშვნელოვან ტურნირებში 2000 წლიდან მონაწილეობს. მისთვის განსაკუთრებით უხვმოსავლიანი 2015 წელი იყო: ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე უფროსების ინდივიდუალურ კატაში II ადგილი დაიკავა, ფრანგულ ლიონში დიდ საერთაშორისო ტურნირზე კი კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი ხვდა. იმავე წელს კიევში შოტოკან კარატეს ევროპის ჩემპიონატზე ერთდროულად 4 მედალი დაიმსახურა: ერთი ოქრო ინდივიდუალურ კატაში უფროს კატეგორიაში ხვდა, ვერცხლის მედალი — ინდივიდუალურ კუმიტეში, ასევე, 2 ვერცხლი — გუნდურ კატაში. სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატზე ინივიდუალურ კუმიტეში მეორე იყო, ხოლო კატაში III ადგილს დასჯერდა.

— იაპონიაში შოტოკან კარატეს მსოფლიოს ჩემპიონატები ორ წელიწადში ერთხელ იმართება, — გვითხრა ჭაბუკა მახარაძემ. — პირველობამდე სამდღიან ტექნიკურ სემინარში მივიღე მონაწილეობა. რაც შეეხება ორთაბრძოლებს, მრავალი საერთაშორისო პრესტიჟული ტურნირი მაქვს მოგებული სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, როგორც ინდივიდუალურ, ასევე, გუნდურ კატასა და კუმიტეში. თუმცა კარიერაში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მაინც 1999 წელს მოსკოვში გამართული შოტოკან კარატეს მსოფლიოს ჩემპიონატი მიმაჩნია. მაშინ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა საქართველოს კარატეს ისტორიაში პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. ამ ნაკრების შემადგენლობაში ჩემთან ერთად გამოდიოდნენ დავით ჟვანია, კობა ცერცვაძე და გიორგი ნადირაძე. 2003 წელს ლონდონში მსოფლიო ჩემპიონატზე ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი დავიკავე... ასე რომ, ტიტულები არ მაკლია, მაგრამ ბრძოლის ჟინი ჯერ კიდევ მოჭარბებულად მაქვს.

წლის მიწურულამდე დარჩენილ დროში კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაზე გამოვალ და ვეცდები, ქომაგები არც მომავალში გავაწბილო.

დავძენ, რომ აღნიშნული წარმატება საქართველო — იაპონიის დიპლომატიური ურთიერთობების 30-წლიან იუბილეს მივუძღვენი, რომელიც წლეულს შესრულდა.

◎ ოქტაგონზე

უძლეველი კავკასიელი

მერაბ დვალიშვილმა UFC-ში ჟოზე ალდოს დამარცხების შემდეგ კომენტარი გააკეთა. როგორც ქართველმა მებრძოლმა აღნიშნა, მზადაა დივიზიონში ნებისმიერს დაუპირისპირდეს, ალდოს გარდა, რომელიც მისი მეგობარია და მასთან ჩხუბს აღარ აპირებს.

ალდო ძალიან მაგარი მებრძოლია, ლეგენდა, ორივე ფეხს კარგად იყენებს. მე ყოველდღე ძალიან კარგ ბიჭებთან ერთად ვვარჯიშობ. ენერგია ტყუილად არ დამიხარჯავს, ჭკვიანურად ვიბრძოლე. არ არის საჭირო ყოველთვის გაგიჟება, მთავარი გამარჯვებაა.

მეორე რაუნდში ვიგრძენი, რომ უფრო აქტიური ვიყავი, სწრაფი პრესინგი ვცადე, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ზედმეტად არ უნდა გამერისკა. ჩემი მეტოქე ლეგენდა იყო, რომელიც საოცარი პიროვნებაა. ის თავმდაბალი ადამიანია და მომავალში საუკეთესოს ვუსურვებ. მზად ვარ, ჩემს დივიზიონში ნებისმიერთან ვიჩხუბო, ვინც გინდათ გამოიყვანეთ. მე და ალდოს ყველას დამარცხება შეგვიძლია, ოქტაგონზე ერთ თვეშიც დავბრუნდები, არაფერი მაწუხებს.

ალდემაინ სტერლინგთან ჩხუბი? ეს აღარ მკითხოთ, ყველაფერი ამ კაცისგან მაქვს, ის დარბაზში ყოველდღე მამარცხებს და აქ ამიტომ ვდგავარ. ჩვენ ერთმანეთში არ ვიჩხუბებთ, რადგან ძმები ვართ.

„ხაბიბი? ის სპორტის ლეგენდაა, მაგრამ მე მერაბ დვალიშვილი ვარ, მას არ ვბაძავ. ერთი კუთხიდან ვართ, კავკასიიდან და კულტურაში ბევრი საერთო გვაქვს, მაგრამ ის რუსეთის სახელით გამოდის, რომელმაც 2008 წელს ჩვენი ნაწილი მიითვისა, მანამდე აფხაზეთიც და 20% აქვს ოკუპირებული. ახლა უკრაინაშიც იგივეს ცდილობს. იმედია, ეს ომი მალე დასრულდება. ხაბიბს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე მერაბ დვალიშვილი ვარ. ქართველებო, მიყვარხართ, მადლობა ყველას, გენაცვალეთ, ყველაფერი წინ არის და წარმატებები ჩვენს ბიჭებს“, — თქვა დვალიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მერაბ დვალიშვილმა UFC-ში ზედიზედ მერვე ბრძოლა მოიგო, კარიერაში კი — მე-15.

◎ ევრობასკეტი 2022

საკოლექციო მონეტა

ევრობასკეტი 2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საკალათბურთო ღონისძიებაა, როგორც მონაწილე ქვეყნების სპორტული მიღწევების, ასევე, ქვეყნის, როგორც მასპინძლისა და ორგანიზატორის საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსის თვალსაზრისით. საქართველომ ევრობასკეტის მასპინძლობის უფლება იტალიასთან (მილანი), გერმანიასთან (კიოლნი, ბერლინი) და ჩეხეთთთან (პრაღა) ერთად 2019 წელს მოიპოვა, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ ევროპის სპორტული საზოგადოების მხრიდან ნდობის გამოხატულებაა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, თბილისი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და საკალათბურთო რეიტინგის მოწინავე ნაკრები გუნდების მასპინძლობით. თბილისს ეწვევიან უმაღლესი რანგისა და მნიშვნელობის სტუმრები და გულშემატკივრები, რაც ჩვენი ქვეყნის სპორტული ტურიზმის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ კალათბურთს წელს 100 წელი უსრულდება, ევრობასკეტი 2022-ის მასპინძლობას კი სპორტის ეს სახეობა ახალ საფეხურზე გადაჰყავს. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ევრობასკეტი 2022-ის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტა გამოუშვა.

საკოლექციო მონეტის დიზაინი ღია კონკურსის წესით შეირჩა. მონეტის ავერსის ესკიზი **ალექსანდრე ვერულაშვილმა,** ხოლო რევერსის ესკიზი **სოფიო წიქარიძემ** მოამზადეს. მონეტა ბადენ-ვიურტემბერგის (გერმანია) სახელმწიფო ზარაფხანაში 5000-იანი ტირაჟით მოიჭრა და მისი სარეალიზაციო ფასი 70 ლარია.

ეროვნული ბანკი მუდმივად ცდილობს, გაითვალისწინოს ნუმიზმატების, კოლექციონერების და სხვა დაინტერესებული მხარეების სურვილები და რეკომენდაციები და ზრუნავს, გაუმჯობესოს საკოლექციო მონეტების რეალიზაციის პირობები. შეგახსენებთ, რომ ეროვნულმა ბანკმა წინასწარი შეკვეთების პრაქტიკა 2021 წელს დაიწყო და ევრობასკეტი 2022 იყო პირველი საკოლექციო მონეტა, რომელიც წინასწარი შეკვეთით გაიყიდა.

◎ მოვლენის წინ

ცაიტნოტის თანხლებით

ზემგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ჯგუფური ეტაპის სტარტზე ნიდერლანდებს ვმასპინძლობთ, 27 აგვისტოს იტალიაში ვითამაშებთ, 1 სექტემბერს კი ევრობასკეტს ვიწყებთ.

ისტორიულ მოვლენას, წესითა და რიგით, ამაღლებული განწყობით უნდა ვხვდებოდეთ, მაგრამ საუკუნის ფორუმამდე ათიოდე დღით ადრე საზეიმოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე.

დიახ, როცა უკანასკნელი ცხრა მატჩიდან რვას წააგებ, აქედან შვიდს — ზედიზედ (ორს — უნგრეთში, ორს — თბილისში ისრაელთან და სამს — საბერძნეთში აკროპოლისის თასზე თურქებთან, ელადელებთან და პოლონელებთან), დაგვეთანხმებით, ძნელია ოპტიმიზმის საფუძველი გვქონდეს.

არადა, ეს ის გუნდია, რომელმაც ზაფხულის შემობრძანება და ახალი მულტიფუნქციური დარბაზის გახსნა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ, თუნდაც ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩამოსულ ესპანეთთან გამარჯვებით აღნიშნა. მეტიც — მოგვიანებით პარტნიორებს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ცინცაძე დაუბრუნდა, მაგრამ...

ყველაზე დიდ პრობლემას გამთამაშებლის დეფიციტი გვიქმნის. კი ბატონო, ცინცაძე ძვირფასი გამოცდილებით გამორჩევა, მაგრამ ჯერ შორსაა ოპტიმალური კონდიციებიდან მაშინ, როცა უდავოდ ნიჭიერი 21 წლის ანდრონიკაშვილი ცალკეული გაბრწყინებებით კი გვახარებს, მაგრამ მაჭრისა არ იყოს, დაღვინება სჭირდება.

თითქოს ზუროსი მეტად უნდა ენდობოდეს ბაქრაძეს, მაგრამ მწვრთნელებს რას გაუგებ. ჰოდა, რჩება სათადარიგო ვარიანტი — კლასიკურ მეორე ნომერ მაკფადენს ენერგიის ხარჯვა „ჯვაროსანთა“ შეტევების დალაგებასა და გაძღოლაზე უწევს, ხოლო შედეგად ისევ ნაკრები ზარალდება.

არანაკლებ დამაფიქრებე:ლია მსროლელის პოზიციაც, რადგან ბერიშვილზე უარის თქმის შემდეგ მხოლოდ არასტაბილური სანაძის იმედად დავრჩით, მაკფადენს კი ზემოთ უკვე ნახსენები მიზეზის გამო სამქულიანი ტყორცნებიც გაუფუჭდა.

კიდევ კარგი, რომ ასარჩევად გვაქვს საქმე ფარქვეშ მებრძოლთა შორის, სადაც შენგელიას, შერმადინს, ბექაურსა და სწრაფად პროგრესირებად მამუკელაშვილს კიდევ უფრო გააძლიერებს ბითაძე, მაგრამ თუ პირველი ნომრის საკითხი არ მოგვარდა, რომელმაც შეტევები უნდა „დახაზოს“ და კომბინაციები მაღლებისთვის მწვავე ბოლო გადაცემის შესრულებით დააგვირგვინოს, ბიჭების მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა, დიდი ალბათობით, წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდება.

და მაინც, იმედს ვიტოვებთ, რომ ბერძენი თავკაცი კონკურენტებს რაღაცას უმალავდა და რესურსიც გააჩნია. ღმერთმა ქნას!

◎ სერაფიტა

„მიყვარს ცხოველების ხატვა...“,

ანუ შეკითხვები ნიკო ფიროსმანს

ნიკო ფიროსმანის შესახებ ჩვენში თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული დიდძალი მასალის მიუხედავად, ფაქტობრივი მონაცემები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ერთობ მწირია. დიდი მხატვრის შესახებ ცნობების შემცველი პირველი უტყუარი დოკუმენტია, 1913 წლით დათარიღებული და მხოლოდ 1989 წელს პარიზში მიგნებული, ილია ზდანევიჩის არც თუ ვრცელი დღიური, რომელიც ამჟამად საქართველოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმშია დაცული.



თვრამეტგვერდიანი ჩანაწერები ი. ზდანევიჩმა გაცილებით გვიან, 1972 წელს, ფრანგულად პარიზში გამოაქვეყნა. დღიურში ნიკო ფიროსმანის 160 ნამუშევარია აღწერილი მათი ადგილსამყოფელის მითითებით, რაც არსებითად, მხატვრის ნახატების პირველი შემონახული კატალოგია. გარდა ამისა, დღიურის მეორე ნაწილს შეადგენს „კითხვები ნიკოლოზს, რომლებიც მისი ბიოგრაფიის შესადგენად უნდა დავუსვა“, თითოეული კითხვის შემდეგ ადგილია დატოვებული, სადაც ზდანევიჩს ნიკალას პასუხები უნდა ჩაეწერა, მაგრამ გამოტოვებული ადგილები შეუვსებელია დარჩენილი, ვინაიდან, როგორც ჩანს, მის პასუხებს ზდანევიჩი მთლიან ტექსტად იწერდა, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ინტერვიუს დროს ხდება.

კითხვების უმეტესობა შემოქმედებას, ფსიქოლოგიას, ზოგადად კულტურას, ცხორვებისადმი დამოკიდებულებას და კიდევ მრავალ სხვა თემას ეხება, ამდენად ფიროსმანის განუსწავლელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მხატვარმა ნორჩი მკვლევარის კითხვების უმეტესობას უპასუხა, თუმცა ისიც არაა გამორიცხული, მან ან ყველა შეკითხვის დასმა ვერ მოასწრო, ანდა ყველა პასუხი ვერ ჩაინიშნა. ამდენად, ი. ზდანევიჩის ჩანაწერებში წარმოგვიდგება ნიკო ფიროსმანის მსოფლმხედველობა, რომელიც ასევე შემორჩენილია მისი თანამედროვე მოქალაქეების, მხატვრების, მედუქნეებისა და სხვა მოგონებებში.

მხატვრის პიროვნების, მისი სულიერი სამყაროს წარმოსაჩენად, რამდენიმე შეკითხვის პასუხს მოვიყვანთ. მაგალითად, **„რა მოტივები იწვევს თქვენში შთაგონებას და როგორია თქვენი დამოკიდებულება სიუჟეტისადმი?“**

ფიროსმანის პასუხი ასეთია: **„თუკი მდაბიოზე არ ვიმუშავებთ, მაშ, როგორღა შევძლებთ ამაღლებულის შექმნას?“** და კიდევ, დამატების სახით: „განა რა ოსტატი ვიქნები, თუკი დახატვას ვერ შევძლებ? შენც დაგხატავ, შენს ოჯახსაც, თუკი თეთრი არაყი იქნება“.

ასევე მისი სიტყვებია: **„მიყვარს უბრალო ხალხის – გლეხების, კინტოების, მუშების, მეეზოვეების, ქალების, ბავშვების, ცხოველების ხატვა. მდიდრებს არ უყვართ ჩემი ნახატები, რა ვქნა, ღმერთი იყოს მათი შემწე, მაგათ სხვა მხატვრები ჰყავთ“.**

კითხვაზე, თუ საიდან იცის უცხო ცხოველების – ლომების, ვეფხვების, ჟირაფების შესახებ, ფიროსმანი პირდაპირ არ პასუხობს, მაგრამ ის იქნებ, მის შემდეგ სიტყვებშია ჩაქსოვილი: **„მდიდრები – ღარიბები, თეთრი – შავი, ცხოვრებაში ყველაფერს ორი მხარე აქვს – კეთილი და ბოროტი. აი, თეთრი ძროხა – ესაა სინაზის, სიმშვიდის, სიყვარულის გამოხატვა, ის გვაძლევს რძეს, ხორცს, ტყავს. თეთრი – ეს სიყვარულის ფერია... შავი კი ჩხუბისთავია, მბღავანა, ომის განსახიერება. უზარმაზარი არწივი კი დაუნდობელია, ის საცოდავ ბაჭიას ბდღვნის. არწივი – ესაა მეფის არწივი, ბაჭიები კი მე და თქვენ ვართ“.** და კიდევ: **„მიყვარს ცხოველების ხატვა, ისინი ჩემი გულითადი მეგობრები არიან“.**

№26 შეკითხვას **„როგორია თქვენი სულიერი განწყობები მუშაობის დროს?“** ი. ზდანევიჩის დღიურში პასუხი არა აქვს, თუმცა კი მისი მონახვა მხატვრის ტილოებში, უფრო სწორად კი მათ თანმხლებ წარწერებშია შესაძლებელი. მაგალითად, სურათს **„საღდგომო ქეიფს“** მიწერილი აქვს: **„მადლობა ღმერთს, აღდგომას მოვესწარით, ქრისტე აღსდგა. ჭეშმარიტად აღსდგა“. „ოჯახურ კამპანიაზე“** ჩაწერილია: **„კამპანიას გაუმარჯოს. მეგოს (მედუქნეს – ავტ.) მწარე მეტი შეხვდა“.**

ქეიფებისა და ლხინის ამსახველ ნახატებში, დაკვირვებული დამთვალიერებელი ბევრ საგულისხმოს ამოიკითხავს, რაც ცხოვრების მხატვრისეული აღქმის ამოცნობაში დაეხმარება. ფიროსმანის ქეიფები – ეს არამარტო ეროვნული ტრადიციების გადმოცემაა, არამედ სუფრის წევრთა შორის არსებული მეგობრობისა და შეხმატკბილების ატმოსფეროს ასახვა, რომელიც შრომით აღსავსე დღის შემდეგ საზეიმო ტრაპეზზე სუფევს. ჰურ-მარილით სავსე სუფრა – ეს თავისებური საკურთხეველია, რომელსაც სარიტუალო სიტყვა – სადღეგრძელო აკურთხებს.

მეწაღე არჩილ მაისურაძეს გოგლა ლეონიძესთან საუბარში უთქვამს, რომ ნიკო ფიროსმანს პოეტებში ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა უყვარდა. გ. ლეონიძე იმასაც მოწმობს, რომ მხატვარი დავით გივიშვილის წიგნის მაღაზიასაც ხშირად სტუმრობდა.

№№32, 33 კითხვებზე: **„რა აზრისა ხართ „ვეფხისტყაოსანზე“? და „როგორ და სად ჩაგივარდათ ხელში ზიჩის დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ და რანაირად შეძელით იქიდან გადახატვა?“** პირდაპირი პასუხი ფიროსმანმა შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის პორტრეტებით გასცა, რომელთაც დიდ პატივს მიაგებდა, ხოლო რაც შეეხება მეორე შეკითხვას, მიხაი ზიჩის ნახატიდან ფიროსმანმა კედელი მოხატა, რომელმაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, ვერ მოაღწია.

№38-ე კითხვაზე: **„რომელი საღებავები გიყვართ?“** პასუხი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი შევარდნაძის მოგონებებშია: **„მე მიყვარს შავი ფერი, მაგრამ არ მიყვარს შავი საღებავი“.** ი. ზდანევიჩის ჩანაწერებიდან კი ცხადი ხდება, რომ ნიკალა მაღალი ხარისხის საქარხნო წარმოების საღებავებს იყენებდა.

და კიდევ კითხვაზე: **„ნახატის ჩარჩო როგორი უნდა იყოს და საჭიროა თუ არა ის საერთოდ?“**, ფიროსმანი პასუხობს: **„თუ კედელი თეთრია, მაშინ ჩარჩო შავი უნდა იყოს, თუ შავია, მაშინ თეთრი, თორემ ცუდად ჩანს“.**

ილია ზდანევიჩის მიერ დასმულ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვაზე **„საჭიროა თუ არა ფერწერა?“**, ნიკო ფიროსმანმა საქართველოს სამხატვრო საზოგადოების 1916 წლის 25 მაისის სხდომაზე უპასუხა: **„აი, რა გვჭირდება, ძმებო! შუა ქალაქში, ისე, რომ ყველასთვის ახლო იყოს, უნდა ავაშენოთ დიდი ხის სახლი, სადაც შევიკრიბებოდით. ვიყიდოთ დიდი მაგიდა, დიდი სამოვარი, ვსვათ ბევრი ჩაიც, ბევრი სხვაც და ვილაპარაკოთ ფერწერაზე და ხელოვნებაზე“.**

სხვათა შორის, საზოგადოებისგან მიღებული დახმარება ათი მანეთის ოდენობით, მან დაპირებით მიიღო: **„ამ ფულით ვიყიდი საღებავებს, დავხატავ სურათსა და მოგართმევთ“...**

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს ლიტერატურული საზოგადოება, კინემატოგრაფისტები, შემოქმედებითი ინტელიგენცია სამძიმარს ვუცხადებთ ჩინებულ კინოდრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს რეზო კვესელავას ძვირფასი მეუღლის

აგრაიდა ბერეზინა-კვესელავას

გარდაცვალების გამო.

მწერალთა ეროვნული აკადემია.

პროფესორ ჟორდანიას და პროფესორ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კლინიკური დირექტორის ლალი ფხალაძის მამა

კონსტანტინე ფხალაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მიმდინარე წლის 19 აგვისტოს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „ბმადლობთ, მედიკოსებო“ ავტორის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა და ქუთაისის რეგიონალური საავადმყოფოს დირექტორის, ბატონი კახა დურალიძის, მთავარი მენეჯერის, ბატონი თემურ ქარჩავას ნაცვლად უნდა იკითხებოდეს შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის დირექტორი, ბ-ნი კახა ნშარალიძე, მენეჯერი, ბ-ნი თემურ ქარდავა.

ტერაქტს დუგინის ქალიშვილი შეეწირა



მოსკოვში ალექსანდრ დუგინის მანქანა ააფეთქეს, გარდაცვლილია მისი შვილი დარია დუგინა. როგორც „ბიბისი“ წერს, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ახლო მოკავშირის, ალექსანდრ დუგინის შვილი მოსკოვთან ახლოს, მანქანაში ააფეთქეს.

„ბიბისი“ წერს, რომ სავარაუდოდ აფეთქების სამიზნე ალექსანდერ დუგინი იყო, რომელიც ცნობილია როგორც „პუტინის ტვინი“. **„დუგინი, ცნობილი ულტრანაციონალისტია, რომელიც ძალიან არის დაახლოებული რუსეთის პრეზიდენტთან“,** – აღნიშნულია „ბიბისის“ ინფორმაციაში. მამა-შვილი ღონისძიებას ესწრებოდნენ, საიდანაც უკან ერთად უნდა დაბრუნებულიყვნენ, თუმცა ბოლო წუთს, ალექსანდრ დუგინმა გადაწყვეტილება შეიცვალა და სხვა მანქანით დაბრუნდა. სოციალური ქსელებში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც აფეთქების ადგილას მისული ალექსანდრ დუგინი ჩანს. დარია დუგინა ჟურნალისტი იყო, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრას აქტიურად უჭერდა მხარს.

„წლის დასაწყისში ის ამერიკისა და ბრიტანეთის სასანქციო სიაში მოხვდა. მაისის დასაწყისში მან ომი „ცივილიზაციების შეჯახებად“ შეაფასა და თქვა, რომ ამაყი იყო იმით, რომ თავად და მამამისიც სასანქციო სიაში იყვნენ. ალექსანდრ დუგინს ამერიკამ 2015 წელს, ყირიმის ანექსიაში მისი ჩართულობის გამო სანქციები დაუწესა“, – ნათქვამია „ბიბისის“ ინფორმაციაში. წინასწარი დასკვნით, აფეთქება მანქანაში დამონტაჟებულმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ გამოიწვია.

ქვაბისხევში ხანძარი ლოკალიზებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო-სამაშველო ძალების პირველი მორეაგირე ჯგუფები ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბისხევის მიმდებარე ტყეში დაკვამლიანების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე გავიდნენ და ხანძრის ქრობის აქტიური სამუშაოები დაიწყეს, – ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, რთული კლდოვანი რელიეფის გამო ვერ ხერხდებოდა ცეცხლის კერებამდე სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მიყვანა და მეხანძრე-მაშველებს მუშაობა ინდივიდუალური აღჭურვილობის საშუალებით უწევდათ. გარდა ამისა, სიტუაციას ართულებდა ძლიერი ქარიც.

„მეხანძრე-მაშველებმა მდინარე მტკვარზე წყლის ტუმბოები დაამონტაჟეს და დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე წყლის მაგისტრალები გაიშალა, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ხანძრის ლოკალიზება. ხანძრის ქრობის პროცესში დილიდან ჩაერთო სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, სალოკალიზაციო სამუშაოებში სულ მონაწილეობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 100 მეხანძრე-მაშველი“.

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲗᲐ“ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲚᲐᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲐ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ქᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ“ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲐ.

ქᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲨᲚᲐᲒᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲜ. ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲪ.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲑᲐᲦᲨᲘ

ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲑᲐᲦᲨᲘ, „ᲒᲔᲠᲐᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲚᲐᲘᲕ-ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ-ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲑᲐᲦᲨᲘ“ 12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲡᲐᲖᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ. ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲜᲐᲙᲐᲓᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ. ᲯᲐᲛᲨᲘ 200-ᲛᲓᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ.

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲨᲘ „ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ“ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲕᲔᲚᲝ ᲫᲡᲔᲚᲘᲡ“ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲨᲘ, �გᲣᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ 50-ᲛᲓᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲡ თᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ �გᲝᲛᲘᲡᲛᲗᲐᲖᲔ.

3-ᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ, ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲘᲤᲠᲔᲜᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲘᲤᲠᲔᲜᲡ, — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ „ᲢᲐᲕ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ“ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲛ Southwind Airlines-ᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲐᲜᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲠᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲘᲡᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, Southwind Airlines-Ი ᲩᲐᲠᲢᲔᲠᲣᲚ ᲠᲔᲘᲡᲔᲑᲡ ᲐᲜᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲮᲨᲘᲠᲘᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ, Airbus 321 ᲢᲘ�პᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲔᲠᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.**

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲐᲜᲬᲣᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲗᲘ ᲐᲜᲬᲣᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ 3X3 ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲚᲝᲯᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲒᲘᲝᲠᲗᲑᲐᲫᲔ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ, �გᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲗᲑᲐᲫᲔ ᲗᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲘᲯᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲜᲔᲑᲘᲗ.

გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚ �გᲣᲜᲓᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲜᲬᲣᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ თᲐᲡᲘ თᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲛᲐ კᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ. ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐწᲘᲚᲔᲝᲑᲐ თᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ 22-ᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚ-ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ. ჩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ თᲐᲠᲘᲦᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲜᲬᲣᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡᲨᲘ 116 ᲬᲚᲘᲡ თᲔᲙᲚᲐ ᲘᲣᲜᲔᲕᲘᲩᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ.

ᲘᲣᲜᲔᲕᲘᲩᲘ 1906 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ-ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲚᲕᲝᲕᲘᲓᲐᲜ 40 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. 103 ᲬᲚᲐᲛᲐᲓᲔ ᲘᲡ თᲐᲕᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲕᲚᲘᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔ�გ კᲘ მᲐᲡᲖᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜ.

ᲯᲝᲜᲘ ᲓᲔ�პᲘ ᲐᲛᲔᲓᲔᲝ ᲛᲝᲓᲘᲚᲘᲐᲜᲖᲔ ᲤᲘᲚᲛᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲚᲔᲑᲡ

ᲯᲝᲜᲘ ᲓᲔ�პᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲔᲚᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ — ᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲓᲠᲐᲛᲐᲡ „ᲛᲝᲓᲘᲚᲘᲐᲜᲘ“ �გᲐᲓᲐᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ ᲐᲛᲔᲓᲔᲝ ᲛᲝᲓᲘᲚᲘᲐᲜᲖᲔ ᲛᲝ�გᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ.

სᲣᲠᲐᲗᲡ საᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ დᲔᲜᲘᲡ მᲐᲙᲘᲜᲢᲐᲘᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ დᲐᲔᲓᲔᲑᲐ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ მᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ მᲘᲔᲠ 1916 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ გᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲝᲠ ᲓᲦᲔᲖᲔ მᲝ�გᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ, რᲐᲪ გᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ მᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ მᲘᲡ ცᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

„მᲝᲓᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ ცᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ნᲐᲬᲘᲚᲘᲡ ეკრᲐᲜᲖᲔ ჩვᲔᲜᲔᲑᲐ წᲐრმᲝᲣდგᲔნლᲐდ დიდი პᲐტᲘვიᲐ. მᲘსი ცᲮᲝᲕრᲔᲑᲐ უზᲐრმᲐზᲐრ სᲘრთულეებთᲐნ იყო დᲐკᲐვშირებული, მᲐგრᲐმ სᲐბოლოო ჯᲐმში ტრიუმფთᲐნ“, — განაცხადა დეპმა. ის ასევე ფილმის პროდიუსერი იქნება. სურათის პროდიუსერის ფუნქციას ასევე ალ პაჩინო შეითავსებს. გადაღებები 2023 წელს, ევროპაში დაიწყება. უახლოეს პერიოდში პროექტისთვის მსახიობების შერჩევა დაიწყება. ჯონი დეპის პირველი სარეჟისორო ნამუშევრის პრემიერა 1997 წელს შედგა. ეს იყო ფილმი „მამაცი“, ამერიკელი მწერლის, გრეგორი მაკდონალდის პიესის მიხედვით.

ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲝᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ, ᲑᲘᲰᲐᲠᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ თᲐᲚᲚᲘᲗᲝᲑᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ ᲓᲐ 8 თᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲥᲠᲗᲐᲛᲡ ᲘᲚᲘᲑᲓᲜᲔᲜ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ 500 ᲛᲔᲢᲠᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. 8 თᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ თᲐᲚᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲥᲠᲗᲐᲛᲡ სᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲛᲐ ᲐᲠ შᲔᲜᲘშᲜᲐ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, რᲝᲛ ფᲔᲘᲙᲓᲐწᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ სᲣᲚ იმყᲝფᲔᲑᲝდნᲔნ დᲐქირᲐვებული ᲐდგილᲝᲑრივი მცᲮᲝვრᲔᲑლᲔᲑი, რᲝმლᲔᲑიც დღᲔში 500 რუᲞიის სᲐნᲐცვლოდ ᲞᲝლიციის ᲝფიცრᲔᲑის რᲝლᲔᲑს ᲐსრულᲔᲑდნᲔნ. 6 თᲐღლითი უკვე დᲐკᲐვებულია, ᲐხლᲐ ᲞᲝლიცია დᲐჯგუფᲔᲑის მᲔთᲐურს ეძᲔᲑს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 24 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7908; ᲔᲕᲠᲝ - 2.8084
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3074;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.7073; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1541;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6462;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8229.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+16,	ᲓᲦᲔ	+34
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+11,	ᲓᲦᲔ	+33
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+23,	ᲓᲦᲔ	+37
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+16	ᲓᲦᲔ	+36
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+19,	ᲓᲦᲔ	+33

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge